



# ივერია

პროგრესულ დემოკრატიული პარტიის პერიოდული გამოცემა

№ 22

## IVERIA

EDITION PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

შ ი ნ ა ა რ ს ი

სპირიდონ ქელია, ბიოგრაფიული ცნობები ----- მიხეილ ქავთარაძე  
და ნაკვთები მოღვაწისა და ქაღის პორტრეტისათვის

მოსკოვის ნაც. პოლიტიკა აღმ. ევროპის ----- შალვა კალანდაძე  
ქვეყნებში

ირინე და გიორგი ყიფიანი საზიარო პოეზია ----- მ. ქ.

ქრონიკა

სამგლოვიარო

NOVEMBRE

1979

PARIS





ზოგრაფიული ცნობები და ნაკვთები მოღვაწისა და კაცის პორტრეტისათვის.

ამ წიგნულში მოტანილი ცნობები საგრძნობ ანაწილად ემყარება ქალბატონ სოფიო კეღია ჩიჯავაძე-ის ასულის გამოუქვეყნებელ მემუარებს რომელთა სარგებლობის უფლების დართვისათვის უღრმეს მადლობას გამოვხატავს რედაქციას.

სპირიდონ კეღია დაიბადა ქალაქ ზუგდიდში 1884 წელს ოც სექტემბერს. მისი მშობლები იყვნენ: მალხაზ კეღია და თეო ქუთათელაძის ასული დედოფ დგუბუაძე. ოჯახი მდიდარი არ იყო, მაგრამ ჰქონდათ კარგა მორწილი კარმიდამო იქვე წისკვილით და ეზოს გარეთ სახნავ-სათესი მიწები. ყოველივე ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ გაუქირვებლად ეცხოვრათ. ადგილობრივ ეს ოჯახი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა.

მალხაზი ადრე გარდაიცვალა, დარჩა მისი მეთვლეე ორი მცირეწლოვანი ბავშვით-სპირიდონი და მისი და. ახლად დაქვრივებულ ქალს ბებრი საზრუნავი გაუჩნდა. მიწების გამო დავა და საჩივრები არ დაკლებია, მაგრამ უკვირანაა, ენერგიულმა და გამჭრიახმა ქალმა ყველაფერი ვაქცა-ტურად აიტანა. თეოს, როგორც გარეგნობით ასევე ხასიათით მოსაწონ ქალს, ბებერი მთხოვენილად აღმოუჩნდა, მაგრამ მან მთორედ დათხოვება არ ინდომა და ყველა მსურველს უარის იხტურებდა - მან თავისი სიცოცხლის მიწნად შვილების აღზრდაზე ზრუნვა გაიჩინა.

მაშინ სამეგრელოში მთავრის ხელისუფლება სულ ცოტა ხნის წინად იყო გაუქმებული - ს. კედიას მშობლების თაობა ჯერ კიდევ დადინის ქვეშევრდომებზე იყო დაბადებული. რუსეთის ხელისუფლებას ფეხი მაგრად არ ჰქონდა მოკიდებული, ასე რომ მაშინდელი მეგრელები, რომელთა შორის მგერული სამთავროს ტრადიცივა კიდევ ძლიერი და ცოცხალი იყო, ასევე ტრადიციით ერთგულნი იყვნენ ისტორიულ საქართველოსი. ეს ერთგულება ისტორიულ საქართველოსადმი იმანაც შეინახა, რომ დადინელები თავს შვიგეროვებულად გრძობდნენ საქართველოს დაშლის შედეგად წარმოშობილი იმერეთის სამეფოს მიერ, რომელიც სამეგრელოს უშუალო მეზობელი იყო და ამისა გამო შვერვითა ორიენტაცივა ქართულში მჯდომ მთლიან საქართველოს მეფისაკენ იყო გადახრილი, რადგან ისინი ფიქრობდნენ, და არც უსაფუძვლოდ, მთლიანი საქართველოს მეფის ხელქვეით მყოფ სამთავროსუფრო ნაკლებად ექნებოდა ხელში შეზოქილი.

ამ აბსოლუტურში, შევხებულნი და თავისი ქვეყნის მოყვარული ქალი თავის შვილებს ღმრთისმორწმუნებასა და მაღალ მორალთან ერთად, სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა. ეს ქართველი დედა რუსთ ბატონობას ვერ ურიგებოდა და ამ საკითხზე ხშირად საუბრობდა ხოლმე თავის შვილებთან.

სამეგრელოში იმ ხანებში რუსის ჯარები იყო ყველგან ჩაყენებული. პატარა სპირიდონს, მის ოჯახში გამეფებულ ვანუშობილებს გავლენით, თავში ჩადებული ჰქონდა ამ ჯარების მიმართ სიძულვილის გამოსატვის სურვილი. მას მოუნდომებია რამე ისეთი მოემოქმედა, რაც მის საყვარელ დედას გაახარებდა. ერთ მშვენიერ დღეს, ხუვ ამშვარალა და როდესაც რუსმა ცხენოსნებმა მის ახლოს გაიარეს, მაღლადან გადმოჟახნია პაშოლ ვონს (გაეთარი). რუსები შეჩერებულან, ერთი მათგანი ჩამოქვეითებულა და იმ ხისაკენ წამოსულა, რომელზედაც სპირიდონი იყო ამშვარალი. გულგახებთქილი ბავშვი ხიდან ჩამოხმტარა და სახლისაკენ გაქცეულა. რუსი მას მიჰყოლია და როცა სადაც ბავშვთა შვივად თან შეტყუვა, დაუინახავს, რომ შეინებულ სპირიდონი დედის ქალთაში იყო შეფარებული. რუსს სპირიდონის დედისთვის უთქვამს: ამგვარი რამ არ გამეორდეს თორემ პასხულს თქვენ გაგვებივთ და ცუდი ზღე დაგადგებათო.

რვა წლის სპირიდონი დედამ ზუგდიდის რუსულ სკოლაში შეიყვანა-მაშინ ზუგდიდში ქართული სკოლა არ არსებობდა. ეს სკოლა ხუთწლიანი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიბარეს. მზრუნველმა დედამ თავისი ვაჟი ცნობილ პატრიოტის იოსებ ოცუელის ოჯახში დააბნავა. აქ, ოცუელის ოჯახში ცხოვრება, შემდეგი საფეხრის პატრიოტული სკოლა იყო გულისხმარის მქონე ბავშვისათვის და მის გულში უკვე დანერგულ სამშობლოს სიყვარულს კიდევ ახალი უფრო ძლიერი უფორტები დაემყნა. გიმნაზიაში სპირიდონმა ყურადღება მიიქცია - განსაკუთრებით ლიტერატურულ თემების დამუშავებისას დამასწავლებელთა ქებაც დაიშინახტარა.

იმდროინდელი მოწაფეთობა გიმნაზიის გარეც მუშაობდა სხვადასხვა წრეებში. ეს წრეები ხშირად პოლიტიკური იყო და არაღვალურციკი. ამგვარი მუშაობა განსაკუთრებით ცხრასს წლებიდან განვითარდა - დიდნი მოდა იყო. ს. მუშაობა უმთავრესად იმაში გამოსატკბოდა, რომ შექმნივედითი ლექტორები მსმენელთა გათვითცნობიერების მიწნით, კთხულობდნენ პატარა მოხსენებებს ყოველ წარმოსადგენ თუ წარმოუდგენელ თემაზე, აქ შეიძლებოდა მოგვინებინათ საუბარი ქალთა ემანსიპაციაზე, ღმრთის არსებობა არ არსებობაზე, ევროპის სინდკალიზმიზე, სულზე და მატერიაზე, ქორწინების პრობლემაზე, ნაროდნიკების მოღვაწეობაზე, მარქსის თეორიაზე და სხვა - მოკლედ ყველაფერი გარდა საქართველოს შესახები საკითხებისა. ლექტორთა ცოდნის კონტროლის გამწვევი არავინ იყო. ხშირად, ამ საკითხებისა თვით ლექტორებმა არა იცოდნენ რა. მოლაში იყო ციტატების მოყვანა და ისმოდა სახელები: კანტი ნიცშე მარქსი პეგელი. ამგვარ ვა-

რჯიშობას სარგებლობის ნაცვლად მსმენელთათვის ვნება მოჰქონდა, რადგან არაფერი ისე მავნე არ არის—რგორცოცა ვინმეს ჰგონია, რომცოდნა შეიძინა—და არაფერი შეუძენია. მაგრამ ყველასთვის რომ იყო უსარგებლო ამგვარი დროსკარგვა. ეს კრებები დამსწრეთ ერთმანეთთან ახლოვდება, იქმნებადა ერთგვარი ასოციაცია ერთსადამივე საქმეში ჩაბმული პირებისა, რომელთაც ილუზია ასაზრდოებდა რომ კაცობრიობის საქმეში მუშაობდნენ „ცხოვრების გარდასაქმნელად“. და იმ წრისა და მეთაურობისათვის, ვინც ამ ხალხს თავში ჩაუდგებოდა, ეს ცრუ გათვითონობიერებულზე ფასდაუდებელი იარაღს წარმოადგენდნენ საზოგადოების განუფერებებელ ფართო წრეების ორგანიზებისათვის. ცნობილია თუ რომელია ხალხი ჩაუდგება მათ სათავეში და ისიც ცნობილია—ამან რა შედეგი მოიტანა.

ერთ-ერთ ასეთ წრის კრებაზე ს. კედიას განუცხადებდა: ქართველი ახალგაზრდები ასეთ მუშაობაში მხოლოდ იმდენად უნდა ჩაებნენ—რამდენადაც ასეთი მუშაობა ქართველი ხალხისათვის იქნება სასარგებლო. ამ განცხადების შედეგად კრებაზე ისეთი ყვირილი და აურზაური ატეხილა, რომ სპირიტის იძულებული გამხდარა კრება მიეტოვებინა. მიჯდომილ ჩავიდარდულეთ მოგვითხრობს ქ—ნი სოფიო კედიას მუღუღისნააბობს, რომ უქანიდან მომესმა „სპირიტული მეც შენთანა ვარო“. ეს იყო კოლია მიქელაძე, ეს პირველი მიმდევარი სპირიტული კედიასი ბოლომდე მის მიმდევრად დარჩა და ემსხვერპლა კიდეცაც ქვეყნისათვის სამსახურს ოცდაათზე წელს როგორც ერთგულ დემოკრატო.

ს. კედიას იხე როგორც მაშინდელი ყველა პატრიოტი ახალგაზრდა, ფედერალისტებთან იყო დაკავშირებული. ეს იყო ერთდღერთი მიმართულება, რომელიც მაშინ საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა. ამ პარტიის საიდუმლო მოქმედების მოწაწილი იყო ს. კედიას. ამგვარად რუსეთ—იაპონიის ომის დროს დეკანოზიშვილის მიერ გამოგზავნილ ნაირის მიღების უშუალო ორგანიზატორი ს. კედიას იყო. მან რამდენიმე დამე გაათია ზღვის ნაპირას შეტქმულ ავგილზე, იმარადი მიიღო და საიმედო ადგილამდე მიიტანა.

ცხრაასხუთი წლის რევოლუციის წინამორბედი მოძრაობა წელნელა სკოლის კედლებსაც არღვევდა და შიგ იჭრებოდა, ხელისუფლება საეჭვო ელემენტების წინააღმდეგ ზომებს იღებდა.

იმ ხანებში, ერთ დღეს, კლასის მიცემული იყო თემა „რუსეთის მოხელეების დახასიათება“—ალბათ გრიბოედოვისა და ვოგოლის მიხედვით. ს. კედიას ეს თემა დიდი გულმოდგინებით დაუმუშავებია და გადაუქარბებია კიდეც, რადგან მიწასთან გაუსწორებია თვით რუსული რაჟიმი. მასწავლებელი ამ თემის კლასში გარჩევას მორიდებდა და საეჭვო დიმილით უთქვამს მოწაფე კედლისათვის: შენ დირექტორი ვიბარებს და ნიშნისაც ის დაგიწერსო. დირექტორი თურმე ძლიერ გავჯერებული დახვედრის—ისულ შეხებს უბრაბუნებდა იატაკზე. როგორ გაპბედე შენ ასეთი რამის დაწერა, იცოდე დღეიდან რუსეთის უნივერსიტეტის კარები შენთვის დახსნული იქნება. არც ვაპირებ რუსულ უნივერსიტეტში შესვლასო უპასუხებია მოწაფეს—სრულიად მშვიდად.

საგანებოლ შემდგარ პედაგოგიურ საბჭოს ამ მოწაფის თავიდან მოშორება გადაუწყვეტია, მაგრამ იმუშადა მაინც ერთდღეოდენ ასეთი უკიდურესი ზომის მიღებას. განაჩენს ელოდებოდნენ ოკციის მწრთველისაკან, რომელიც ამ დროს იყო ზავადსი და ამათი მოლოდინში სპირიტული დაატრსადი — იქვე სკოლაში ჩაუკტიცია ერთ ოთახში. მოწაფე თვით მიღვარება უკვე დაწყებული იყო როდესაც ზავადსი კუთაისს ეწვია,როცა იგი კლასიკურ ვიზნაზიში მოვიდა მოწაფე კედიას ნახვა მოისურვა. ზავადსის სპირიტულთან ძალიან ტკბილად დაუწყია ლაპარაკი—მკლავში მკლავი გაუყურია და ასე მოსაუბრენი დასეირნობდნენ თურმე ტკლანში. ზავადსი სპირიტონს დაპირებია სტიპენდიას დაგინიშნავთ და თან მოუთხოვინა, რომ მოწაფეებზე გავლენა მოეხდინა და დაეწყნარებია. სპირიტონის პასუხი ყოფილა: მიუღვარება ქუჩაში გამოსული და სკოლებშიც იქიდან შემოდის, დააკმაყოფილეთ ხალხის მოთხოვნა და სკოლა დაეწყნარდებო.

იმ ხანებში ტფილისელ ახალგაზრდობა მიტინგის მოწყობას აპირებდა. ამასთან დაკავშირებით გვაცნობეს მოგვიტობრებს ქ—ნი კედიას, რომ ქუთათური მოწაფეებაც ჩვენთან კავშირის განსაზმელათ თავის დღეგაატს გამოგზავნისო. ეს დღეგატი სპირიტონი კედიას იყო. შეკრება ვერაზე იყო დანიშნული—სწორედ იქ სადაც ახლა ქართული უნივერსიტეტის შენობა დგას. ამ შენობას მაშინ, კიდეც სახურავი არა ჰქონდა. მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობა შეიყარა, რუსებიც იყვნენ. ქალბიც მოსულან მაგრამ შეშინებულნი უქან გაბრუნებულან. ამის შემდეგ ჩვენმა მოსვლამ დიდი აღტაცება გამოიწვია. ჩვენ სამინი ვეყავით ტასო როსტომოშვილი—შედეგში ახმეტელის მუღუღი, მეორე მგონი შატბერიშვილი და ვე. სპირიტონმა ლაპარაკი დაიწყო. ამ დროს დაიძახეს ყაზახები მოდიანო. მართლაც რაზმი თავს წამოგვავდა. ყველაზე გვიგონიერტინი და თავი შევფარეთ შენობის კედლებს. სპირიტონი არ განძრუდა და დამშვიდებულნი კილითი დარწმუნებდა რაზმის უფროსს—ჩვენ აკადემიური კრება გვაქვს და ვთხოვთ ხელს ნუ გვიშლითო. მაგრამ რუსებმა არ დაუჯერეს, ყველა თავი მოგვეყარეს და წყნეთის ქუჩით ქალაქისაკენ გავგრქეს. ზეში მომგვეერთდა მოწაფე უფროსი და მოსტრაცია და ქაშვეთს რომ მივადწიეთ გაიმართა მიტინგი. მაგრამ მალე ქაშაქების მათრახების ტრიალდა გვიძულა დავშლილიყავით.

საზღვრო ხაზის ბაგეტიანი ხანდიან ადგილები ეს რამდენიმე სურათი, გვიჩვენებს, რომ სპირ-  
ილინი ბაგეტიანიდანვე ეროვნულ იღებს მატარებელი იყო და მოელი მისი მოქმედება მომავალში  
მის მიერ ბაგეტიანად აღებული გეგმა მიმდინარეობდა-სწრაფი ქ-ნი კედია.

ცხრას ხუთი წლის რევოლუცია მთელ საქართველოს მოედო-განსაკუთრებით გურიასა და  
სამეგრელოს, დამსჯელი რაზმები სასტიკად მოქმედებდნენ. ს. კედის ძებნაში მის სახელკარს კი-  
ნადავ ეცვლი წაუთოდეს. საწყალი მისი დედა ამ დროს სხვისას იყო შეხიზნული. ს. კედის ალა-  
რსავე ეღვრებოდა და გადაწყვიტა სვანეთში გადასულიყო. ისა და რამდენიმე მისი მეგობარი  
სვანეთში გადავიდნენ და ველსკანის ოჯახში იპოვნეს თავშესაფარი. მაგრამ იქ დიდხანს ვერ  
გაჩერდნენ, რადგან მასპინძლისათვის საშიში და შეუძლებელი იყო მათი დიდი ხნით შენახვა.  
ამგვარად ეს ახალგაზრდა რევოლუციონერები სვანეთის თოვლიან ხეობებში ქვეთიკენ წამოვიდ-  
ნენ. -გაყინულ ბილიკებით, გზაში ს. კედია კინაღამ დაიღუპა, მას ფეხები დამძრალი ჰქონდა,  
ქარგად ვერ დადიოდა ერთ ადგილას ფეხი დაუხსლტა და ნაპირში ჩავარდა, საიდნად გულწას-  
ული ამოყვანეს მისმა თანამგზავრებმა. ბოლოს როგორც იყო მიადრწეს ქუთაისის სადაც ს. კედია  
ქარგახანს ჯიხსა ხვარობდა სიარულის დროს, მაგრამ მას დიდხანს არც აქ ეღვრებოდა და გად-  
აწყობდა უცხოეთს გახიზნულიყო. ამგვად ერთ დღეს იგი ცხენიდან ჩამოხვეწილად თავის დედას  
მხოლოდ ხელს ნიშნებით გამოეხოვა. ზღვაზე მას პატარა იალქნაინი სვლით ელვდებოდა. ასეთ  
სახიფათო მოგზაურობაში მას მრავალი დაბრკოლება შეხვდა, მაგრამ პარიზამდე მაინც მიადრწია.  
ეს იყო 1906 წელს.

საფრანგეთში ყოფნის პირველი წელიწადი ს. კედამ ენის შესწავლას მთავრობა. ამავე  
დროს კოლეჯ დე ფრანსის ლექციებს ისმენდა. ბოლოს სორბონაში ჩაირიცხა ბუნებისმეტყველები  
დარკულ. უკანასკნელ წლებში კი სამხრეთ საფრანგეთში განაგრძო სწავლა, რადგან მას მტკი-  
ნელად აქლამ მისი ქვეყნის მზე და პავა და სამხრეთელი ჰავა მისთვის მკურნალის როლს ასრუ-  
ლებდა. სამი სერთიკატის მიღების შემდეგ მან მიიღო დიპლომი: „სიანს ეს სიანს“. ამის შემ-  
დეგ მან დოქტორატისათვის დაიწყო მუშაობა, მაგრამ მსოფლიო ომიც ატყდა, რაც საქართველოს  
დიდ ცვლილებებს უქადა და მან საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. იგი საფრანგეთიდან  
სხვისა პასპორტით გაემგზავრა-გვარა-გვარა დემეტრაშვილი იყო. ჯიბეში ელო თავისი პოპულარის  
სარეკომენდაციო წერილი საფრანგეთის ელჩისადმი. პეტერბურგში ჩასვლის მერვე დღეს იგი  
დაატუსაღეს და ციხეშიც ჩასვეს - არა როგორც დემეტრაშვილი არამედ როგორც სპირილიონ  
კედია. ორ თვეზე მეტი იჯდა იგი ციხეში, მაგრამ ვერ გამოტყეს, რომ სპირილიონ კედია იყო და  
არა დემეტრაშვილი. პეტერბურგის ქართველობამ ამ საქმეში ცნობილი გენერალი ნაკაშიძე ჩარია  
და გაინათვისუფლეს. ამგვარად ს. კედია საქართველოში ჩავადა 1914 წელს და რევოლუცი-  
ამდე ნახევრად არალეგალურად ცხოვრობდა. ადგილობრივი პოლიცია მასში ძლიერ დასუსტებული  
იყო და თვალსა ხუჭავდა. ს. კედია მაინც ხშირად იცვლიდა ხოლმე ბინას.

ახალგაზრდობაში სოციალისტურ აზრების მქონე ს. კედია ახლა ახალი იდეებით ბრუნდებოდა  
ევროპიდან. იგი უკვე ის გულბრძოლი ახალგაზრდა აქვარ იყო, ქუთაისში უგანმანათლებელ  
წრის კერბა რომ დასტოვა გულამდგერეულებმა. ახლა იგი საკუთარი თვალის უცქერდა ქვეყანას  
და თუ ქუთაისში მას უკვე კრიტიკული თვლი აღმოაჩნდა, ცხადია ახლა ევროპიდან დაბრუნებ-  
ული, სედავ მან მარტო დიპლომი როდი შეიძინა, ის ვერ დაქმნაყოფილდებოდა მშინდელ ქართულ  
სხვისადეგეციაში ვარგებულ დაბნელებიში. არც სოციალისტობა სახეობდა მას ქვეყნის პირთ-  
ვან განმყოფრავ მალამოდ. ევროპაში ვატარებულმა წლებმა ს. კედის სოფლმხედველობა გაამდ-  
იდრა, განამტკიცა და მყარ ფორმაში ჩამოაყალიბა. მან ევროპაში თვალნათლივ დაინახა, თუ  
სინამდვილეში რა ადგილი და მნიშვნელობა ჰქონდა. ევროპელის ცხოვრებაში სოციალიზმს. მან  
ნახა, რომ ეს მოძღვრება არც მცირეწლოვან არც სრულწლოვან მოსწავლეთათვის არ იყო გათვი-  
თცნობიერების სავნად გამოყენებული. მან ნახა, რომ საფრანგეთის არც მოსწავლე ახალგაზრდ-  
ობას არც გლეხებს და არც მუშებს არ აინტერესებდა ის საკითხები, რომელთაც იგი და მისი კოლ-  
გებში გამანათლებელი წრეებში აწვალდებდნენ. მან გაიგო, რომ ძლიერსა და განათლებულ საფრან-  
გეთში, რომელიც ეროვნულ ჩავრას არ განიცდიდა, პატრიოტიზმს ახალგაზრდობის აღზრდ-  
აში პირველი ადგილი უკავა. ყოველივე ამან მას თვალები აუხილა და მისთვის აშკარა გახადა  
იმ გზის მცდარობა, რომელსაც მის სამშობლოში მისდევდნენ. მას ჩვენთვის უამბინა თუ როგორ  
დღესი უკა მას ის მოვლენა, რომ ევროპაში „სოციალიზმი“ სინდკალეზმთან რთად, ბოლოს და-  
ბოლოს, სოციალისტური პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში აყო გამოყენებული და რომ ევრო-  
პელი სოციალისტები რეჟიმის დასაწგრევად სრულიად არ იბრძოდნენ. საქართველოში კი წარმოე-  
ბაში ჩაბმული მუშები მოსახლეობის უმცირეს ნაწილს წარმოადგენდნენ და ასეთ პირობებში რატომ  
უნდა დახარჯულიყო ჩვენი პატარა ქვეყნის მიწისმოქმედთა ენერჯია რუსეთის რეჟიმის შესაცვ-  
ლელად ბრძოლაში- მით უმეტეს რომ ამ საქმეში ჩვენი ქვეყანა ვერავითარ როლს ვერ ითამაშებდა.

გარდა ამისა ევროპაში ს. კედია ისიც შეუმჩნევია, რომ რესპუბლიკურ რეჟიმის მქონე სახელმწიფოებში რუსებზე უკეთ როდი ეპყრობოდენ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნების შვილებს, ფრანგულ უნივერსიტეტებში სანათლად საქმეობდა იყო კოლონიებდღან ჩამოსული სტუდენტნი და სადმე ერთი-ორი მოამბევდოდა, უთუოდ რომელიმე პრინცი ან მდიდარი ბოზობლას შვილი იყო. მაშასადამე არავითარი გარანტია არ არსებობდა, რომ მხოლოდ რეჟიმის შეცვლა საქართველოს დამაპყრობებელ მდგომარეობას მოუტანდა.

ყველა ამისა გამო ს. კედია ამ დადგენილება, რომ სხვაგვარად ემოქმედა, სხვა გზა გამოენახა და ეს გზა მხოლოდსაბოლოო ილიას გზაზე დადგომა აღმოჩნდა. მაგრამ ვისთან კავშირში?

პირველი მისი ნაბიჯი ის იყო, რომ მან გიორგი ლასხიშვილს მიმართა. საქმე შეეხებოდა ფედერალისტების მიერ სოციალისტურ ტვირთის საგრძნობლად შემსუბუქებას და მის ნაცვლად მეტი ნაციონალიზმის ტვირთად აღებას, რასაც უნდა მოჰყოლოდა ახალი ნაციონალისტური გაზეთის გამოშვება. დიდი ცდისა და ჯაფის მიუხედავად, ს. კედია გიორგი ლასხიშვილი ამ წინადადებაზე ვერ დაიყოლია. ეს ცდა მაშინ საქართველოში არსებულ მდგომარეობის ათვის ანგარიშის გაწვეთი იყო ნაკარნახევი. საქართველოს პოლიტიკური ასპარეზი მარქსისტებს ჰქონდათ თითქმის მთლიანად დაკავებული და ის მცირელი ეროვნულად განწყობილი ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც გადაურჩა მარქსისტულ დემაგოგიის მოწამლვას უკვე ფედერალისტთა პარტიაში იყო დიდწილად თავმოყრილი. ასე რომ ახალ ეროვნულ პარტიის რიგების შესადგენად თითქმის : თეორიულად მაინც, ხალხის პოვნაც კი გაძნელებულად ჩანდა. ამასთანავე არანორმალური იყო რომ საქართველოში ირი სოციალისტური პარტია არსებობდა. ს. კედიას როგორც უყოფილ ფედერალისტს იმედოვნებდა რომ ფედერალისტთა პარტია უმრავლესად პატრიოტული, მის შეხედულებას გაიზიარებდა. მაგრამ პიროვნულმა მოტივმა, ჯიუტობამ, მცდარად გამოვლენილმა თავმოყვარეობამ და სხვა მიზეზებმა ხელი შეუშალა ამ დროად სასარგებლო და გონივრულ წამოწყების განხორციელებას. და ეს ძლიერ სავალალო იყო, რადგან ეროვნულ დემოკრატიული პარტია, დამოუკიდებლად დაარსების ნაცვლად, როგორც ეს მოხდა, ფედერალისტებთან კავშირში რომ დაარსებულყოფ, და ისიც კრიონოდ წელი უფრო ადრე, ვინ იცის ძალთა განწყობა როგორ შეიცვლებოდა და ვინ იცის ამას რა გავლენა შეიძლება რომ მოეხდინა საქართველოს ბუდის გადაწყვეტაზე.

შეუძლებელი არ არის, რომ ქართველ ნაციონალისტთა და ფედერალისტთაერთიანების შედეგად 1915 წელს დაარსებულ ქართულ ეროვნულ პარტიას ისეთი გავლენა მოეპოვებინა, რომ ჩვენი ბრმა მარქსისტებისათვის დეშალა მათ მიერ 90 იან წლებიდან დაწყებული აღდგმა ფარცხვაილიას აღმანხულისა. ან ყოველ შემთხვევაში ამგვარი გაერთიანება ქართველებზე იმდემ გავლენას მაინც მოახდენდა, რომ ქართველი ერი ასე მინდობით ყელზე ბაწარგამომშული ფეხებში არ ჩაუყვარებოდა რუსეთის სოციალ დემოკრატიულ პარტიას.

ფედერალისტებთან სასურველ ერთობის შეუძლებლობის გამოაშკარავებდინაწყებას, კედიას მიერ გადაჭრით ახალი გეზის აღება, იგი ბაქოში მიდის. იქაური შეუძლებელი ქართველობა მის აზრებს იზიარებს და მისადმი ნდობის გამოცხადებასთან ერთად გაზეთის გამოსაცემად თანხებსაც უწყობანოდ აძლევს მას. ტფილისში დაბრუნებული ს. კედია კონტაქტში მოიხმარებს მათ და საერთო ძალით უშვებენ გაზეთ „საქართველო“ს. მაგრამ ს. კედია ამით არ კმაყოფილდება. იგი იწყებს მოგზაურობას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში და ყველგან აარსებს პოლიტიკურ ორგანიზაციებს.

ეს მოგზაურობა იყო ერთსადაიმევე დროს ახალი პარტიისათვის პროპაგანდა და თავისი თავის ხალხისათვის გაცნობა. და ეს მეორე მოტივი ფრიალ მნიშვნელოვანი იყო. ფართო მასა არააუ ახლად ჩამოსულ ს. კედიას არ იცნობდა, არამედ მისისათვის თითქმის უცნობნი იყვნენ უკვე სამწირლო ასპარეზე გამოსული ის ნაციონალისტი მოღვაწენიც, რომელნიც ტფილისსა და ქუთაისში ეროვნულ მიმართულების გაზეთებს უშვებდნენ. ეს გაზეთები ვიწრო ჯგუფების სახელად გამოდიოდნენ მათი ტირაჟი ძლიერ სუსტი იყო და მხოლოდ ქალაქში მცხოვრებ ინტელიგენტთა მცირე ნაწილი კითხულობდა მათ. იშვიათი ნიქის ორატორმა და მგზნებარე პატრიოტმა ხალხის გულში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში მაშინვე გამოხმაურება პოვა, რადგან არა მხოლოდ ორატორის ნიქი იყო მომხიბლავი, არამედის რასაც იგი აბზობდა დარისკენაც ქართველებს მოუწოდებდა შეგნებულ ქართველთა გულსა და გონებას ისე ხვედებოდა, ვით სანატრელი წვიმა-დაგოლილი მიწას.

ამგვარად ასე გვიან დაიწყო საქართველის ჩაყრა იმ საქმისა, რომელიც ილიას სიცოცხლეშივე უნდა დაწყებულიყო. დიდი ხარვეზი იყო ამოსავსები.

როგორც ვიცით, მესამოციანეთა თაობას თავის დროს მემკვიდრე არ გაუჩნდა, რადგან მესამე დასკვნებში, რომელთაც ნორმალურად, თუნდაც ახალი თავისებური მიდგომით, მაგრამ მაინც ილახა საქმე უნდა განეგრძოთ, არათუ უცხო დეფოლაცია გაიხადეთ თავიანთ რწმენად, არამედ რაჟი მათს იდეოლოგიას ჩვენი ქვეყანაში სამოქმედო ობიექტი არ გააჩნდა—რადგან არც ბურჟუაზია გვყავდა და არც პროლეტარიატი, ახალ დარჯიშულობას ის ეროვნული პრობლემა დაუსახეს, ასა-ღებად კი არა დასანერგვად, რომელიც მესამოციანეთ ეკავდა როლი საშუალებითაც ამ ჩვენი ქვეყნის აღორძინების მოუშაქებმა უმავალთო თავდადების წყალობით, საქართველო ეროვნულ სიკვდილს გადაარჩინეს.

ჩვენში არც პოლიტიკურად არც ეკონომიურად „სარევილუციო“ არაფერი იყო. ქარხნებიც და მეფის მთავრობაც რუსეთში იმყოფებოდა, მაგრამ საქართველოში იყო რაღაც, რომელიც ქართ-ული მთავრობის ზოგიერთ ფუნქციას ასრულებდა. ეს იყო სამოციანთა კულტურულ-ეროვნული დაწესებულებები და მათი ბიუჯეტის წყარო—ბანკი. და აი ამ „მთავრობას“ დაეხსნენ თავს მესამე დასკვნები და იგი დაუსახეს ხალხს მტრებმად ქვეყნისა.

ს. კედიას მიერ წამოწყებულ საქმის შედეგი იყო საერთო კონფერენცია ერ. დემ. პარტი-ისა რომელზედაც იგი ერთმანად არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ. ასეთივე ყრილობა შესდგა მეორ-ედაც —მჯერად მის დაუსწრებლად რადგან იგი უცხოეთს იმყოფებოდა, და მაშინაც ს. კედიას ხელახლაც თავმჯდომარედ იყო არჩეული.

ს. კედიას ევროპაში გამგზავრება იმან გამოიწვია, რომ გერმანელებმა რომლებთანაც მოლაპარაკებაში იმყოფებოდნენ უცხოეთში არსებული საქართველოს განთავისუფლების კომიტე-ტის წევრები, მოითხოვეს რათა ჩამოსულიყო ქვეყნის მიერ ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი. ასეთი კაცის წასაყვანად გამოემგზავრენ წყალქვეშა ნავით მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე; მაგ-რამ მათ საქართველოში მოსვლა არ დასჭირდათ, რადგან ისინი სებასტოპოლის შეხვედნენ ს. კე-დიას, რომელიც ამიერ კავკასიის სივრცის თავმჯდომარის—ა. ჩხენკელის მანდატით მიემგზავრებ-ოდა —სოფიაზე გავლით—ბერლინში, ქართული კომიტეტისათვის საძირო ავტორიტეტის მოსაპოვ-ებლად და საქართველოს სახელით მოლაპარაკების გასაგრძელებლად.

საქართველოს თავისუფლების კომიტეტთან და განსაკუთრებით მის ნამდვილ სულისჩამ-დგმელ გიორგი მაჩაბელთან ს. კედიას ძლიერ მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა. მათთან უშუალო კონტაქტის დამყარება ს. კედიამ რევილუციის პირველ თვეებშივე დააპირა. ამისათვის იგი პეტ-ერბურგს გაემგზავრა —რომ იქიდან შეეცაოთ გადასულიყო, მაგრამ ს. კედიას პეტერბურგში სწ-ორედ იმ დღეს ჩავიდა, როცა კერენსკის მთავრობა დაემხო და ხელისუფლება ბოლშევიკებმა დაბ-რუნებულყო. მისი და სხვა ქართველების ჯათერაკით სავსე მგზავრობა საქართველოსაკენ, აღწ-ერილია „ავალიშვილის წიგნში: „საქართველოს დამოუკიდებლობა“. ტფილისში დაბრუნებული ს. კედიას ორიოდე კვირის შემდეგველად უცხოეთში მიდის და გზაშიმავალი ხვდება მ. წერეთელს.

მ. წერეთელთან და მ. ქარცივაძისთან ერთად ს. კედიას ბერლინში ჩავიდა სადაც მან გიორგი მაჩაბელთან ერთად მოამზადა იმ ურთიერთდამოკიდებულების პირობები, გერმანელებმა და ქარ-თველებს შორის, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ორი ერის დამოკიდებულებაში. როცა იგი მუშაობა მიმდინარეობდა ბერლინშივე ჩავიდა საქართველოს დელეგაცია ა. ჩხენკელის მეთაუ-რობით. ს. კედიამ ამ დელეგაციის წიაღში დიდი მუშაობა გასწია. იგი იყო დელეგაციის მდივანი და, როგორც ავალიშვილი აღნიშნავს, „მძიმედ დაიტვიტოთა“.

ა. ჩხენკელის ჩამოსვლის შემდეგ რამდენიმე ხანმა რომ გაიარა ს. კედიას საქართველოში დაბრუნდა, რადგან ნამდვილი საზრუნავი მას აქ ელოდებოდა. შენდებოდა ახლად აღდგენილ ქა-რთული სახელმწიფო ხლო მისი მშენებლები ამ საქმეს თითქმის უნებურად დაპატრონებული პი-რები იყვნენ. საძირო იყო თვალყური, რომ საძირკველში ფუჟი ქვები არ ჩაეტანებოთ. და ეს სა-ქმე უძრელს დაბრკოლებებს აწყდებოდა. ს. კედიას და მის თანამოაზრეთა განკარგულებაში მხ-ლოდ ირი საშუალება იყო—მოქმედება პრესით და—პარლამენტში.

ს. კედიას გაზეთის რედაქციაში ბევრს მუშაობდა. მისი უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ა. ასათიანი, ვეკელი ი. შაჰვარძიანი და პირადი მდივანი ლავრენტი კვარაცხელია. ს. კედ-იამ თანამშრომლებად მოიწვია გერონტი ქიქოძე სახალხო გაზეთიდან, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი გვაზავა, მიხეილ ჯავახიშვილი, შლევა დადიანი, ვასილ ბარნოვი, ექ. თაყაიშვილი, ქ. ქიქელიძე; ი. ზურაბიშვილი და სხვანი. თავისი გაზეთის გარშემო შემოკრება მან მაშინდელი საქართველოს მაღალი ინტელიგენცია და საუკეთესო მწერლები. გაზეთის ტიპოგ-დლითილდე მატულობდა. საზ-ოგადოებრივ აზრში პარტიის პრესისიფი არაჩვეულებრივად აღზარდა. ყველას თვალს ეხილებოდა,

რადგან ახსოვდა, რომ რაც ხდებოდა ე.ი. ქართული სახელმწიფოს შენება, სწორედ ის საკანონო იყო რომლის მსურველებს ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინად, თავს ესხმოდნენ ახლა ამ შენების უზადარტუკ ხელმძღვანელთა როლში გამოსული გაზეთ „ერთობის“ პირით მოლაპარაკე აღამიანები. მაგრამ მათთან არც პირდაპირ ბრძოლა შეიძლებოდა. ოცდაათი წლის განმავლობაში ნაწარმოებ დემოკრატიის ხალხის გონებაზე გამომადგურებელი შედეგები მოეტანა. ქვეყანა და ხალხი მათ ხელში იყო. და როგორც დღეს ვერვინ უბედვარე პირდაპირ შეტევას საპატრო პირატებს, რადგან მგზავრების ბედი მათ ხელშია, ასევე შეუძლებელი იყო ჩვენი მაშინდელი ბატონპატრონების ყველა ნაკლთა მითუმეტეს ცოდვათა, აშკარად მხილება. ამიტომ ს. კეღია გაზეთს ზომიერ და თავდაუპირკლად ტონს აძლევდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ტონი საერთოდ მის სტილს ახასიათებდა. ნიჭიერა და ძლიერ მწერალს მას შეეძლო ზომიერ და თითქმის დაჟვავების ფორმებში სასტიკი კრიტიკა გამოეთქვა. გაზეთს საქართველო ევროპულ დონეზე მდგარი გამოცემა იყო რომლის ბადალი არც მანამდე და ცხადია არც შემდეგ, საქართველოში მკთხველს ხელთ არ ჰქონია.

მეორე სამოქმედო ასპარეზი, დამფუძნებელ კრების სახელით ცნობილი პარლამენტი იყო. აქაც მუშაობდა წარმომადგენელი დაბრკოლება სდევდა., როგორც ცნობილია პარლამენტში მარქსისტებს ახსოვლურთი უმრავლესობა ჰქონდათ. მაგრამ მარტო ეს გარემოება როდეს უბადებდა სიძნელეთ, ჩვენი პარლამენტი პროპორციულ პრინციპით იყო არჩენილი. ამგვარად მარქსისტი დეპუტატები მარტო მათი ღირსება—უნარიანობის მიხედვით კი არ იყვნენ შეტანილი საარჩევნო სიაში, არამედ ასევე დიდი ანგარიში ჰქონდა გაწეული ამ პირთა პარტიულ დამსახურებასაც. ამით აიხსნება, რომ ამ უმრავლესობას ისეთი პირებიც შეადგენდა, რომელთაც „საკუთარი თავი“ არც ება. ისეთიც ყოფილან რომელნიც თასატებ ეკონომიურ კრიზისის პრობლემას ასე წყვეტდნენ: ფულის ბეჭდვა ხომ ჩვენიველია მისი დავიჭედოთ მუშეობა. ჯამგვარი მოკუშპართ და ყველა იოლად ვიცხვრებთო. ყოველივე ამას ბოლოსდაბოლოს მოეცლებოდა. ქვეყნის და სახელმწიფოს მაშინდელი ეკონომიური ბაზა—სოფლის მეურნეობა— უზარამენტოდ და უმარქსოდაც ცოცხლობდა. ჩვემა გლენმა თავისი საქმე უკეთ იცოდა ვიდრე ჩვენი მეთაურებმა—თავისი. სახელმწიფოს შინაური პრობლემები ასე თუ ისე დაიძლეოდა. მთავარი ამოცანა ქვეყნის თავდაცვის საკითხი იყო და აქეთკენ იყო მიმართული ს. კეღიას მთავარი უურადლება. თავის გამოსვლებში იგი პარლამენტის წინაშე ასაბუთებდა ჩვენი თავდაცვის გაუმჯობესების გადაუდებელ და აუცილებელ საჭიროებას. იგი თვალნათლივ უმტკიცებდა მსმენელებს, რომ შინაური წესრიგისათვის შექმნილი და ამ მოვალეობის ასასრულებლად გამოსადეგი სამხედრო ძალა ვერ აასრულებდა იმ მოვალეობას, რომელიც მას უცხო პროფესიულ ჯართან შეტაკების შემთხვევაში დაეკისრებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ შეიარაღებული ძალა მორალისათვის სახიფათო და საზიანო იყო ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორგანიზებულ საბრძოლო ძალის ყოლა. რომ ამგვარი მდგომარეობა აუცილებლად დაბადებდა ფსიქოლოგიურ გათიშვას და ტექნიკურ შეუთანხმებლობა—გაუგებრობას. რომ საჭირო და აუცილებელი იყო უფრო მრავალრიცხოვან ჯარის მუდმივ მზადყოლა. რომ უამისოდ ქვეყანას საშინელი განსაზღვრული მოვალეობა. ყველა ამის საპასუხოდ მთავრობის პორტპაროლი აცხადებდა ხოლმე, რომ ყოველგვარი ზომის მიღებულია და ყოველ მოსალოდნელ საშიშროების მოსაგერიებლად მზადა ვართო. პარლამენტი ისიც კი ითქვა: ათვადთა ცხენოსნობის და ჯირითის დრო წავიდა ჩვენ სოციალისტურ რესპუბლიკას ვაშენებთო.

გაზეთში და პარლამენტში მუშაობის გარდა ს. კეღიას პარტიისათვისაც უნდა ხელმძღვანელა. ამ საქმეში მისი პირველი თანაშემწეა. ასათიანი იყო. ს. კეღიას ინიციატივით და საქმიან ძნელ შემთხვევებში პირადი ხელმძღვანელობით მოხერხდა ერ. დემ. პარტიის ცალკე ფრაქციითა ერთად შედუღება და მომავალ არჩევნებისათვის სამზადისის დაწყება დიდად იმედისმომცემ პერსპექტივებით. ასევე ს. კეღიას ავტორიტეტის წყალობით წარმოებდა ქვეყნისათვის ფრთხილ მნიშვნელოვანი სამრწველო კავშირების, სავაჭრო ამხანაგობების, ბანკების და სხვა ამგვარ დაწესებულებათა დაარსება, რაც ქვეყნის ეკონომიურ ხერხეშლის გასამაგრებლად იყო აუცილებელი.

მაგრამ საქართველოს ცაზე შავი ღრუბლები იკრინებოდნენ. მოსალოდნელი მოხდა. წითელი რუსეთი თავს დაესხა ჯერ წითლობა მოურეცხულ ხალხით მართულ საქართველოს. ამ სახედი-სწერო ჟამს როგორც მთელი ოპოზიციაა. ს. კეღიაც მთავრობას გვერდით ამოუდგა, მაგრამ რა შეეძლო მას გარდა ფრანტისაკენ მიმავალ ჯარისადმი გამამხნეველ სიტყვით მიმართვისა. თავის დროზე მოუვლელობით წამხდარ საქმეს ეს ვერ უშველიდა. და საქართველომ ისეთი არასასახელი მარცხი განიცადა, რის ღირსიც ქართული ხრამალი ვაი რომ არ იყო.

ტულისიდან განხილულმა მთავრობამ და პარლამენტმა რამდენიმე დღე ქუთაისში დაჰყო. ქუთაისიდან ს. კეღია ფრონტზე წავიდა, მაგრამ ფრონტის ნაცვლად მან რამდენიმე მიტინგი ნახა, რომელზედაც მაშინ ცნობილი ყალიბი ორატორები „თანამებრძოლთ“ ახმედებდნენ: ამხანაგებო გული არ გაიტეხოთ მთვარე ინტერნაციონალი და ვეროპის პარლამენტის რევი დემოკრატიის შეურაცხყოფას ბოლშევიკებს არ შეარჩენნო. იქვეადა დაბრუნებული ს. კეღია თურმე გულამღვრეული, სიმწარით ამზობდაეს ხალხი დახვრეტის ღირსიოა.

ქუთაისში პარლამენტის უკანასკნელი სხდომა შესდგა და ამ კრებაზე გამოსულ ნ. რამიშვილის სიტყვები ზემოდა მოტანილ მიტინგის სიტყვებს არ ჩამოუვარდებოდა. იგი თურმე ირწმუნებოდა ორ-სამ თვეში ისევე ტფილისში ვიქნებითო. ახლა კი ს. კეღიას უკუთხვდია მისთვის ჩვეული და ზომიერი ტონი. მას რამიშვილისათვის უპასუხნია: ბატონო მინისტრო ორ-სამ თვეში კი არა, იქნებ ორ-სამ ათეულ წელსაც ვერ დადგათ ფეხი ქართულ მიწაზეო. ს. კეღიას აქ მთავრობა აღარ დაუდგია და გამანადგურებელ სიტყვაში მთავრობის მთელი სიავენი და მისი სამი წლის ანტიეროვნული ნამოქმედარი მწარედ გადმოუშლია. მას მთავრობისათვის სასტიკი განაჩენი გამოუტანია და ქვეყნის დამღუპველად გამოუცხადებია ისინი.

ბათუმში აღდგება და სასოწარკვეთილობა ერთმანეთს ცვლიდა ამზობს ქ-ნი კეღია. მთავრობის მიმართ მრავალი მწარე სიტყვა ისმოდა. თვით ს. დემოკრატებიც თავიანთ აღშფოთებას ვერა შალავდნენ. პ. სპირიდონ თუ ოდესმე ქვეყანას ისევე აღდგენა ედირსა, ესენი ისე უნდა და-განგრიოთ — რომ დეხზე ვერ დადგნენო! უთქვამს გომართელს, სწორედ მაშინ დაუპირიბიათ მხედრებს და ზოგ გვარდიელსაც მთავრობის დატუსაღება და ზოგის მოსპობაც კი. ს. კეღიამ ეს გეგმა ჩაშალა და შეთქმულები შემდეგი სიტყვებით გაისტუმრა: ყოველგვარი ტერორი და შურისძიება მიუღებელია დაე წავიდნენ ცოცხლები თავიანთი ცოდვებითაო —

როდესაც ერთხელ აქ პარიზში ს. კეღიას ამ ამბის შესახებ ვკითხეთ მან გვიპასუხა: მე რომ ამგვარი რამ ჩამეძინა იმის ღრის ვიქნებოდაი რაც მაკედონელმა დარიუსის მეკვლეებს უყუ-თაე-ბი რომ დააყრდნიაო. ერთსა ჩვენთაგანმა მაინც შენიშნა, ყოველ შემთხვევაში შორდანი და მისი ჯგუფი ემიგრაციას არ მოწამლავდნო. ს. კეღიას სახეზე წყენა დაეტყო და მოკამათის ცი-ვად უპასუხა: საქართველოს დაღუპვაში შორდანიას იქნებ წილი ედოს, მაგრამ ეს მას შეგნებულად და დაღუპილი არ ჩაუდენია ხოლო თუ საქართველო ჯერ ვერ განთავისუფლდა ამაში შორდანიას ბრალი ვერ დაედებოა.

ეს ინციდენტი მოხსენებული აქვს თვით ნ. შორდანიას და იგი თავის გადარჩენას მის მიე-რვე მიღებულ ზომებს, სახელდობრ გოგუაძის ჯავშნოსანის ახლო მოყვანას მიაწერს. ასევე გენ. კვინიტაძეც ამზობს: ასეთი წინადადებები მომმართეს და მე ვუპასუხე ჯერ ჩემს გვაშივე გადაი-ვლითო! აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: შორდანიას კვინიტაძე და გოგუაძეც საზღვარგარეთ მიდ-ოდნენ. „შეთქმულების“ ავტორები კი ისინი იყვნენ ვინც საქართველოს რჩებოდა. ასე რომ თუ არა ვეტო ს. კეღიასი, ვინც ავტოტვე რჩებოდა, ვინ იცის საქმე როგორ დატრიალდებოდა.

ბათუმში მთავრობის კრებაზე ს. კეღიას სამხედრო მინისტრის პოსტი შესთავაზეს. ამ უცნ-აურ და გაუგებარ წინადადებაზე რასაკვირველია უარი მიიღეს. მართლაც გასაოცარია. სამხედრო მინისტრის პოსტს სთავაზობდნენ კაცს, რომლის სწორედ სამხედრო დარგის ხან რჩევა ხან ვედრება ყურად არ იღეს. ამის შედეგად ქვეყნსა წავაგოს და ახლა იმავე კაცს ტვირთად უნდა აედო სხვათა ცოდვები და შერცხვენა. ასეთი საკვირველი წინადადების მიცემა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ალბათ ფიქრობდნენ: ს. კეღიას უცხოეთში მინისტრად განხილვის ცდუნება დასძლევა, ალბად არ იცოდნენ ან არა სჯეროდათ, რომ მას საქართველოში დარჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ამის შემდეგ ვ. რტიყლადემ მას მოუტანა შორდანიას მიერ გემიდან გამოგზავნილი წერილი ნ. შორდანიას წერდა: ბატონო სპირიდონე თქვენ არ წამოხვედით ჩვეთთან როგორც ოფიციალური პიროვნება, გთხოვთ წამოხვედით პიროვნულად — გემი ჯერ კიდევ იცდისო. ს. კეღიამ ეს წერილი უპასუხოდ დატოვა და დახია. სამწუხაროდ ეს საბუთი არ გადაჩა. ამგვარი წინადადება ს. კე-ღიამ ა. ხოშტარიასაგანაც მიიღო, მაგრამ მასაც მაღლობით უარი უთხრა.

ეს ის დრო იყო როცა ყველა თავისთავის შველაზე ფიქრობდა. ამიტომ ყველას ეგინა, რომ სპირიდონიც თავის კერძო ცხოვრებაზე იჭრუნებდა და ოჯახს მომავალს მოუხმავდა. ამ-იტომ მასთან თავისუფლად მოილოდნენ სხვადასხვა თხოვნით. მავალითად როგორც მეთაურს სპი-რიდონს უნდა ეჭრუნა მათთვის დამშვიდებელი მოგზაურობის მოსაწყობად. რომ სპირიდონს გემი უნდა ჰყოლოდა მის განაქარგულებაში. რომ რომ მთავრობისაგან შეთხოვა, რათა გატანილ განძის მეთვალყურედ თაყაიშვილის ნაცვლად ერთი სენატორი დაენიშნა. სპირიდონმა ვერაჟინ დაუჯერა, რომ არსადაც არ ამიერბდა წასვლას და თავის ქვეყანაში რჩებოდა. ეს საკითხი მან პარტიის მთავარ კომიტეტში დასვადა დარჩენის დადგენილებაც გამოიტანეს. — ცხადია არა მტე-რთან შერიგების მიზნით“ წერს ქ-ნი კეღია.

ბათუმშივე ჩაისახა საიდუმლო ორგანიზაცია სამხედრო ცენტრისა, ს. კედიასთან ერთად მოღვაწეობდა მონაწილეობდნენილარიონ ლორთქიფანიძე(ხანკის დირექტორი) და დავით მიქელაძე. მიმოსვლის აღდგენლობის გამო ს. კედიას ტფილისში მხოლოდ მარტის გასულს ჩავიდა. პირველი გინც მის სანახავად მოვიდა კოტე აფხაზი იყო. შემდეგ კი მას დაუკავშირდნენ ყველა მიმდინარეობის პიროვნებები. ამ უხედურობის დროს ქართველების გულწრფელ გაერთიანებას ჰქონდა ადგილი" ო წერს ქ-ნი კედიას.

თებერვალში განცდულმა მარტხმა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების სასწაულებრივი გამოჯანსაღება გამოიწვია. ყოველ ქართველ ინტელიგენტს თავისი თავი დამნაშავედ მიაჩნდა და საერთოდ ერის ყველა ფენამ იგრძნო და შეიგნო თუ რა დავკარგეთ. ეს მეტამორფოზი ადრინდელ გულცივებს, ეგოსტებს, უმედლოებს და ურწმუნოებსაც კი შეეხო. სპონტანურად დაიბადა რევანშის წყურვილი—სირცხვილის მოსარეცხად, არავინ არც მოწოდებას არც წაქეზებას არ სპირობდა, რომ თავის პირადი უნარი, შესაძლებლობა, სიცოცხლეც განთავისუფლების საკმისათვის შეეწირა.

ახლა ბევრმა გაიგონა და დაინახა ის, რაც არავის დაუნახავს და გაუგონია იმ დღეს. ვლას მგლაცძე რომ მამადავითავე ავარდა და ილი ასა და აკაკი ახარა საქართველო აღსდგაო. მაშინ ბედნიერებით მთვრალმა ქართველმა ვერ დაინახა მამადავითავე რომ გამოჩნდა "მეფურ ძილითგან" გულგახსენით გამოღვიძებულ მოზოხის ლანდი" და ვერ გაიგონა მისი სასოწარკვეთილი ყოვლი: კიდევ მომკლავ—მეორედ, მესამედ, ოდნე და საქართველოს ნუ მომიკლავთ, ი მ კ ა ც ს ქვეყნის, ბედს ნუ ჩააბარებთო. ახლა კი მრავალ ქართველის ყურსა სწვდებოდა ქართული მიწის სიღრმიდან ყრუდ მოწვედილი, იმავ მოხუცის მწარე კვითონი.

საქართველოში დარჩენილი, ეროვნული მოძრაობის ბელადი და მეთაური ს. კედიას, სრულიად ბუნებრივად, ამ განწყობილების ცენტრში მოექცა. ბათუმში მხედრობთან ერთად მიღებულმა საბოქმელო გავიამ ხორცშესხმა დაიწყო. მაშინ შეჩერდა საქმეში მონაწილეთა ყურადღება ქაქუცა ჩოლოყაშვილზე.

ემიგრაციაში დაიწერა, რომ ქაქუცა ეროვნულ-დემოკრატი არ იყო ამიტომ პარტიის მიერ რაზმის უფროსად ვერ დაინიშნებოდაო. ეს ფორმალურად სწორი შენიშვნა დაზუსტებას მოითხოვს. მხედრები უმეტეს შემთხვევაში და საერთოდ, პარტიებს არ ეკუთვნიათ, რადგან მხედრობა სახელმწიფოსა და ერის სამსახურია და არა რელიგიისა, ქაქუცაც ასეთი უპარტიო მხედარი იყო. მაგრამ ასევე საერთოდ მხედრობასამოქალაქოხელისუფლების განკარგულებაშია და მისი ინსტრუქციებით მოქმედობს. საქართველო იმ დროს გამეფებულ ხელისუფლებას არ ცნობდა და ამ ხელისუფლების როლს აკუთვნებდა იმ პოლიტიკურ პირთ, რომელნიც ქვეყნის განთავისუფლებისათვის იღწვოდნენ. ამგვარ პოლიტიკურ ავტორიტეტთან კერძოდ, ს. კედიასთან მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების შედეგად ვკვირ ქაქუცა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქაქუცა ს. კედიასთან "რაზმის უფროსად დანიშნა", მაგრამ არც იმას ნიშნავს, რომ ქაქუცამ ასეთი საქმე თვითონებურად წამოიწყო.

ამ საქმის სათავე ჯერ კიდევ ბათუმში ს. კედიასა და მხედრებს შორის მომხდარ მოლაპარაკებიდან მოდის. ამ მოლაპარაკების დროს ვადაწყდა, რომ ქართველი მხედრები არ უნდა მორიდებოდნენ ქართულ წითელ ჯარში სამსახურს არამედ პირიქით უნდა ცდილიყვნენ მოჩვენებითი ლოიალობით მაღალი საკომანდო პოსტები ჩავიდნენ ხელში, რომ საქირო დროს ქართული სამხედრო ძალები მათ ხელში ყოფილიყო. აჯანყება ნაპარაუდები იყო კავკასიური მასშტაბით— მთიელებთან და აღერბოთაჯანგლებთან შეთანხმებით. ამ გზით და მიმართულებით დაიწყო კიდევაც ამ საქმის პირველი მსვლელობა.

ქაქუცას მოქმედებას ორგანიზაციის მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვიდრე საერთო აჯანყების საშუალების დამთავრებლობა, ეს რაზმი მცირერიცხოვანი უნდა დარჩენილიყო. მის არსებობას უნდა გავიგარებოდა ხალხში იმედი და ამავდროს მოძალადე ხელისუფლებასაც უნდა გაეგრძობოდა— რომ თავი დაუხუჯებოდ არ ეგრძნოთ.

რომ არჩევანი სწორად ქაქუცაზედ შეჩერდა, ამას თავისი ლოგიკური საფუძველი ჰქონდა. ასეთი რაზმის ზედ სწორად კახეთი უნდა ყოფილიყო. ჯერ მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. კახეთი ტფილისსაც აკრავს, საქართველოს მთიანეთს—თუშ—ფშავ—ხევსურეთსაც დადასტოვებს. მხოლოდ კახეთიდან შეიძლება ერთსადაიმავე დროს მოქმედება დარიალისა და დარხანდლის ჩასაკეტად. კახეთი ის პიროვითია, რომელსაც აჯანყებათა ყველაზე დიდი ტრადიცია აქვს. ხშირი ტყეები და დოვლითიანი მხარე მეომარ-პარტიოტულად განწყობილი მოსახლეობითაგრეთვე საუკეთესო პირობებია პარტიზანულ რაზმისათვის თავის შესანახად. მაშასადამე რაზმის უფროსიც კახელი უნდა ყოფილიყო. მართო ეს პირობები არ კმარაოდა. რაზმის უფროსი ოფიცერიც უნდა ყოფილიყო, რადგან პარტიზანულ მოქმედებათა გარდა, შემდეგში გავრდილ რაზმს წმინდა სამხედრო სანმარა ამოცანებით დაეკისრებოდა. ამასთანავე ეს ოფიცერი ხალხთან დაახლოვებული

კაცო უნდა ყოფილიყო და და არა თავის ქასტაში ჩაქეტილი ხალხისგან მოწყვეტილი ინტელიგენტი შტაბის ოფიცერი. ყველა ამ პირობათა დამაკმაყოფილებელი კანდიდატი ათობით არ იქნებოდა. ს. კედამ ჩვენს წრეში მგონი მხოლოდ ერთხელ ილაპარაკა ამ საკითხზე და ისიც ძლიერ ძუნწად — იგი საქუთარს როლის ხაზგასმას ერიდებოდა. მაშინდელ მისი სიტყვებიდან ის შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ სხვა კანდიდატი ყოფილა, მაგრამ ზემოღმოყვანილ პირობებს ვადაუწყებოდა საერთოდ. აქ მოტანილი ცნობები ს. კედამ ნაამბობის შინაარსის თქმისერებაში შემორჩენილი გადმოცემა არის, მაგრამ აი სიტყვასიტყვით გადმოცემული მისი ესე ქაქუცას შესახებ: როგორც ტყე წარმოშობს ხეს, მაგრამ ხეები ქმნიან ტყეს, ისე ქაქუცა წარმოშვა იმ გმირულმა ეპოქამ, რომელიც ჩვენს დამარცხებას მოჰყვა, მაგრამ ამ ეპოქის შემქმნელიც არისო. და კიდევ ერთი მაშინ ნათქვამი ფრაზა: ქართველი კაცის ყურისათვის ქაქუცას ჩოლოყაშვილობაც ემარბოდა — ლეგენდას უყვე გვარი ქმნიდალა.

აქ მოთხრობილი ეს ამბავი ჩვენი ეროვნული გმირის სახელს კი არ ამცირებს არამედ ამად — ებს და ვინც იტყვის ქაქუცამ ტყეში გასვლა თითონ ვადაუწყებოდა, ეს თუ დაუჯერეს, დათვის ნასახურის გაწევა იქნება ქაქუცას სახელისათვის.

აი ერთი ადგილი ქ-ნ კედამს შემოარჩებდაც, ამავე საკითხს რომ ცოცხალი სურათებით გვიხატავს. „1921 წელს სპირიდონმა თავისი ოჯახი საზაფხულოდ კახეთში გაისტუმრა. თვითონ ერთი თვით ტფილისში დარჩა. ასეთი მისი სურვილი პაპანაქებაში ტფილისში დარჩენისა ოჯახისათვის ვაუტეხარო და საწყენიც იყო. მე ექვსი თვის ზავშვით ხელში მარტო მიხლებოდა მოგზაურობა, ამიტომ სადგურზე სპირიდონს ცივად დაეშორდი. მხოლოდ შემდეგ ვახდა ჩემთვის ყოველივე ვასაგები და ნათელი. ავგისტიოდან სოფელ კისხენელს სპირიდონს ჩვეთან ერთად ისვენებდა. და აი აქ სეტემბერში ჩემთვის სრულიად მულოდენედა სპირიდონთან მოვიდა ქაქუცა-მას მან ფაგლენიშვილი ახლდა. სპირიდონს ქაქუცას მოსვლა არ გააკვირვებია — თითქოს მოელოდაო. თან რე საუზმისა და ვასკირების შემდეგ წავიდნენ მახლობლად სოფელ კონდოლში მცხოვრებ ავალო ავალიშვილთან. ეს ავალიშვილი ქაქუცას სიღერის ძმა იყო. წასვლისას სპირიდონმა გამაფრთხილა, რომ იმ დამით იქ დარჩებოდა. თურმე იქ სხვა პირებთანაც ჰქონია შეხვედრა. ამათ შორის უჩამი ექიმ კოლა ჯანდიერთან, რომელიც ავალის ცოლისძმა იყო. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ქაქუცა მეორედ მოვიდა სპირიდონთან და წასვლისას ცხენზე მჯდომმა სპირიდონს ამოსძახა: ორ-სამ დღეში გეახლებიოთო. აქ უყვე ჩემი ვაოცება ვეღარ დაეძლიე და ვკითხე სპირიდონს თუ რა ჰქონდა საერთო ამ დარღვივან ყმაწვილთან. ან სად მიდიოდა, რომ პირობაც კი მისცა ორ-სამ დღეში მოგვარუნდებოო. ტფილისის რასაკვირვებელია — მოკლედ მოახლოვდა სპირიდონთან. თუ მავან დეუტეებს შეაბერინა ელოდე მაგის ამ ორ-სამ დღეში მოსვლასა ვუთხარია. სონა შენ ან ცენობ ქაქუცას ეს ყმაწვილი ძალიან სანდო გამოსაადგი და კარგი ქართველიაო. მართლაც დანიშნულ ვადაზე ქაქუცამ ისევე ფაგლენიშვილის თანხლებით ჩვენს ეზოში ცხენი შემოაქენა — ვაოცებული დავრჩი. ეს ფაგლენიშვილი ჩემი ძველი მოწვეე იყო თავადაზნაურთა გიმნაზიიდან. სპირიდონისა და ქაქუცას ლაპარაკს ის არ ესწრებოდა. იმდენად მორიდებული იყო, რომ საქმლისათვის სახელში არ ამოწყვა.

იმ ზამთარს ტფილისში სპირიდონთან ქართველების მისვლა — მოსვლა ვახშირდაო ვანაგრძობს ქ-ნი კედამ. ეს დილაობით ხდებოდა როდესაც მე გიმნაზიაში ვიყავი ჩემს სამუშაოზე. აქ იყვნენ პარტიათა წარმომადგენლები: ფედერალისტები როგორც ლახიშვილი და რცხილაძე; ს. ჯობლაძე; კოლა ქარცივაძე; ლეო ნათაძე, იასონ ჯავახიშვილი და სხვანიც. ო.

ოკაორი წლის თებერვალში დაპყრობის წლისთაგზე, ვანჭრახული იყო საერთო შეთანხმებით მოწყობილი დემონსტრაცია. ს. კედამ აპირებდა ხელში ეროვნული დროშით გამოსულიყო და საკიროსაც იტყუა. მას შედეგებიც ვაუთვალისწინებია, რადგან წინა სადამოს ოჯახისათვის ვაუნდვია, რომ სხვა ბინაზე აპირებს გადასვლას და რომ არალეგალურ ცხოვრებაზე უნდა გადავიდეს. თურმე ამისთვის ბინაც ნაშოვნია ჰქონია — ქალაქ გარეთ ინჟინერ ვანო ჩიჯავაძის სახლში. მაგრამ სწორედ იმ დამეს ს. კედამ დაატუსაღეს და მთელი გეგმაც ჩაიშალა — რადგან მასთან ერთად იმავე დამეს დაატუსაღეს ქართველი ინტელიგენციისთელი ის ნაწილი, რომელიც იქვის ქვეშა ჰყავდა ხელისუფლებას. ს. კედამ ექვსი თვე მტრეში იყო რაკეტობოლო შემდეგ საგუბერნოს ციხეში გადაიყვანეს. იქაც კიდევ ექვსი თვე გაატარა. მთელ ამ ხნის განმავლობაში — ამბობს ქ-ნი კედამ — კავშირი სპირიდონისა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ჩემი საშუალებით ხდებოდა. სატუსალოში გადასაცემ ცნობებს იასონ ჯავახიშვილი მამტრედა და პასუხსაც იგი ჩემგან დებულ ქვეყანა — უპატრონოდ არ ეჩვენოსო. ამიტომ ქვეყნის სადარაჯოზე შეიარაღებული ძალა უნდა ვიყოლოთ, თუ კავკასიის მასშტაბით მოხერხდა მტრის წინააღმდეგ გამოსვლა იმ მომენტისათვის ჩვენც მზად ვიქნებითო. სპირიდონი ციხეში მყოფი ერთს ფაქრობდა — რაც მის მიერ მოწყერილი —

დან მკადიოდ სჩანდა, მხოლოდ გარეთ კი სხვა აზრი ტრიალებდა. — უფრო აჩქარებული და გაძვირ-  
დავი. მაგალითად კოტე აფხაზი იმ აზრისა იყო, რომ ტერორს ჩვენი ტერორით უნდა ვუპასუხ-  
ოთო. ორჯონიძის თავიდან მოცილება მაინც უნდა შეგძლოდა. სამხედრო კავშირის სახელით  
დათიყო მიქელაძე-და ერ. დემ. ვასო მგალობლიშვილი სპირიდონის სანახაფრად გამოიყენენ ციხე-  
ში. იქედან გამოსული დათიყო მიქელაძე კოტა გულნატკენი თავისთვის ბუტბუტებდა: ვაგ დალო-  
ცილი მაგას ჰგონის ქაქუცას გაჩერება ადვილია, იმას მოთმინება ეკარგება სპირიდონი კი ამბ-  
ოზს ქაქუცამ უნდა დაიწამთროს და თუ ჩვენი მეზობლებიც გამოვლენ, მხოლოდ მაშინ ერთად ვი-  
მოქმედებთ სხვანაირად მარტო ჩვენი ბრძოლა შეუძლებელიაო.

სპირიდონი ციხეში იყო მაგრამ იმაზე მეტი სასჯელი მის ოჯახს ჰქონდა, რადგან შეი-  
არადებულნი ჩვეისტი დღედამ თავს დასტრიალებდა და აწუხებდა. ციხეში ლიდერთიდან აღარა-  
ვინ იყო. ჯერ ციხიდან გაისტუმრეს სოციალ დემოკრატები და გერმანიის მინისტრთლებით გადა-  
ასახლან. შემდგომალისტები მთლიანად იყვნენ განთავისუფლებულნი, ხოლო ერთგულ დემოკრატ-  
ებიდან მხოლოდ სპირიდონი-და იჯდა ციხეში. იგი მაგრად მყავდათ ჩაქვრლი. გარედან ყველა-  
ნი მიჩნევენ რომ სპირიდონის განთავისუფლებისათვის მეზურუნა. ამას რომ სპირიდონს ვეტყ-  
ვდი მისი პასუხი იყო: მე აქ ციხეში მიჩნევიანა ყოფნა რადგან მე აქ ჩემი ქვეყნის ჰაერით  
უზრუნველყოფილი მაქვს და ოჯახიც აქა მყავსო. გადიოდა დრო და დატენებით მიმეორებდნენ  
—მაგალითად ლახისშვილი და ნინიძე არ ივარგებს სპირიდონის ციხეში დარჩენა უსათუოდ უნდა  
გამოვიყვანოთო. ლახისშვილი რამდენჯერმე სცადა სპირიდონი დაერწმუნებია, რომ მას თავი-  
სი განთავისუფლება მთავრობისათვის წერილობით თხოვნა, სპირიდონს ამისი ვაგონებაც არ სუ-  
რდა. ყოველ ჩემ მისვლაზე მარწმუნებდა აქ ჩემ ქვეყანაში ვიმყოფები სად უნდა წავიდეო. მაშ-  
ინ მე გადავდგი ძალიან გაბედული ნაბიჯი. დავწერე წერილი-თხოვნა მთავრობის მიმართ და  
სპირიდონის სახელით მოვაწერე. შეშინებულმა ეს წერილი მაინც შალვა მესხიშვილს წავაკითხე  
შინ მაგრამ ეს წერილი დიდხანს უშედეგოდ დარჩებოდა რომ მე სიტყვიერადაც არ მიემოქმედნა,  
როგორც იყო სპირიდონი ციხიდან გამოვიყვანე მისი სურვილის წინააღმდეგ. ჩაიყვანეს ეტაპით  
ბათუმამდე და იქ საგანგებო განყოფილებაში კიდევ ერთი კვირა იყო ჩაკეტილი. ჩემი თხოვნით,  
დატენებით, ცრემლებით მივადრევი იმას, რომ გამეგო რომელ გემით და რომელ დღეს გაისტუმრ-  
ებდნენ. რადგან ისე ჩანდა თითქოს მათ სურდათ, რომ ყოველივე საიდუმლოდ ჩატარებულიყო.  
ჩვეის ვაგებულები ჰქონდა, რომ ბათუმელი ქართველობა გაცილებას აპირებდა—რასაც დემონსტრ-  
აციის ხასიათი ექნებოდა. ამიტომ სპირიდონი სამხედრო რაზმით გარშემორტყმული ჩვეულებრ-  
ივ გზას ააცილეს და მიხვეულ ტასველებით ზღვის ნაპირას მიიყვანეს, საიდანაც შეიძლება  
გემ „კლუბატრაა“ ზე ასვლა. მე შორიანბლო ვიყავი ამ სურათის მნახველი. სპირიდონმა იქიდან  
გამაგებინა, რომ მას არც პასპორტი არც ვიზა არა აქვს და სტოვებს საქართველოს როგორც  
ანონიმი მოგზაური.

უცხოეთში ჩამოსულმა ს. კედიამ ყოფილ მთავრობისაგან გამიჯნულად ყოფნა არჩია,  
რადგან ამ მთავრობას და მის წრეებს ემიგრაციაში კიდევ უფრო პარტიული თითმის კასტური  
ზენე-საქციელი ჰქონდა წესად დადებული. არავითარ მონაწიეების გრძნობას ისინი არ ამქვდავენე-  
ბდენ. არც თავიანთ „საქმიანობას“ აცნობდენ ლიბალურად მათს არამენშევიკ თანამშრომლებს.  
იგი პოლიტიკის გარეშე მაინც არ დარჩებოდა. იგი ცემდა გაზეთ „ერის ჯუშუაჯს“ და მისი პირო-  
ვნების გარშემო იყო შემოკრებილი ემიგრაციისმთელი არამარქსისტული შემადგენლობა. მის  
პოლიტიკურ მუშაობას უცხოეთშიაც ისევე სერიოზული, მოფიქრებული და აურჩქარებელი დანი-  
ელ როგორც საქართველოში. იგი არასდროს ჩარეულა, როგორც თითონ ეძახდა, „ციხე-ციხელ-  
ებით შეპყრობილ ფუსფუსს“ და ინტრიგა-მაქინაციაში, რომელიც ემიგრაციის მაშინ ახასია-  
მანეთის პოლიტიკურ წრეებში, მაგრამ მას არასოდეს უცდია ეს კავშირები, „მოჩვენებითი სა-  
ქმიანობისათვის“ გამოეყენებია. ნამდვილი ქართული პოლიტიკისთვის კი ონოუქტურა არ არ-  
სებობდა. მან ზოგჯერუარითაც კი გაისტუმრა უცხოელთა მიერ დღეი სახსრების მოწოდება, რა-  
დგან ის „საქმე“ რასაც ეს ხალხი სანაცვლოდ მოითხოვდა, უშუალოდ ქართველ პოლიტიკის არც სა-  
მას მრავალი უპრინციპო ან პოლიტიკურ ანგარიშში ვერგარკვეული პირი უსაკვედღურებდა. ახლა  
როდესაც წარსულს თვალსაგვლით, ყველას ძალუძს დაინახოს ვინ იყო მართალი.  
ავტონობა აჯანყების წინა ხანებში ს. კედიამ გარკვეული, აჯანყების არსებობის გარეშე  
ნაცხადი-სადაც სპირი იყო. ასეთივე შინაარსის შემცველი წერილი ჩატარა ექიმმა წულუკიძ-  
ემ საქართველოში ერ. დემ. პარტიის ადგილობრივ ხელმძღვანელობის მიმართ.

იგი აღნიშნავდა მარტო ქართველთა აჯანყების გამარჯვების შეუძლებლობას და რაც შეეხება აჯანყების მორალურ მხარეს ე. ი. მის მორალურ გამარჯვებას—მას მიაჩნდა, რომ თუმცა მორალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს მნიშვნელობა არ ღირდა, იმ დიდ მსხვერპლად, რომელიც აჯანყებას მოჰყვებოდა. ამ საკითხის გამო საუბარში რამდენიმე წლის შემდეგ, მან თქვა: ის რჩეული და უკეთესი, რომელიც ათასობით დაიხვრიტენ ცოცხლად რომ დარჩენილიყვნენ, ამ ჯანმრთელი პატრიოტული ელემენტის არსებობა, თვით საბჭოთა პირობებშიც, ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანდა—ამ კარგთა ამოწყვეტამ ცუდებსა და უვარგისებს გაუხსნა გზა.

ზედმეტი არ იქნება ამ წერილში თქვას—როგორი იყო ს. კედიას დამოკიდებულება უკანასკნელ მსოფლიო ორში ქართულ ემიგრაციასა და გერმანელებს შორის არსებულ კონტაქტთან. ეს მოწმობა იმეორება მხოლოდ ერთ საუბარს რომელიც ამ წერილის ავტორს 1940 წლის დასასრულს ს. კედიასთან ჰქონდა. სამხედრო სამსახურებრივ საქმის გამო ბერლინში ჩამოსულმა (საყარაულო სამსახურისთვის არჩეულ ასოცული ტყვისაგან შემდგარ ჯგუფს ჩამოვყვევ რუმინეთიდან) გავივთ, რომ ს. კედიას ბერლინში იმყოფებოდა. ცხადია მის სანახავად მივედი. იმდროის მსოფლიო იმით, რომ იგი ბერლინის უპირველეს სასტუმრო ადლონში მისი ბინის მფლობელად და თვით სასტუმროში მას მაღალი კლასის სტუმართათვის განკუთვნილი ბინა ეჭირა, მისი ბინის კარები იმ მოლოდინში გავადე, რომ ქართული საქმის პოლიტიკურ მდგომარეობაზე საამო და გამამხნეველ ამბებს გავიგებდი. ჩემი იმედები პირველ წუთებშივე გაქრა—პირველ წუთებშივე, რადგან საუბარი მაშინვე ამ საკითხს შეეხო. მან ყოველგვარ შეფერადების გარეშე მიიხრა, რომ გერმანულ ხელისუფლებასთან არავითარი პოლიტიკური ხასიათის არათუ შეთანხმებას—მოლაპარაკებასაც კი ადვილი არა აქვს, ამირ გავერკვებულს, იგი რაღაც საყვედურის მსგავს წამოცმდა აღბათ, რადგან თითქმის მწყურლად მიიხრა: მიმართავთ მარტო დამტოვე და ახლა ჩემგან რაღას მოითხოვთ. ბატონო სპირიდონ მე თქვენ არ მიმიტოვებინათ მეტი ვუპასუხე დაუყოვნებლივ (მე პარიზიდან არ წამოვსულვარ სხვებთან ერთად არამედ უკვე ბერლინში მყოფი წავედი ჯარში) შენ რომ პარტიში ყოფილიყავ ხომ სხვებში მოიქცეოდით როგორც საშა და მიტო (ცომაია და სინჯიკაშვილი) მოიქცნენო მკითხა მან და განაგრძო. პოტუბრა მხოლოდ სამხედრო ძალაზე ამყარებს თავის ანგარიშებს. გერმანულ პოლიტიკასაც პიროვნულად ხელმძღვანელობს. ამგებად მას პოლიტიკისათვის არცა სცალია და საერთოდ მისი მეთოდი გამორიცხავს იმგვარ პოლიტიკურ მოლაპარაკებებს როგორც ჩვენ ვესურსო. ქართველებთან კონტაქტი გერმანულმა მხედრობამ დაამყარა და არა გარეშე საქმედა სამინისტრომ, მხედრებს თანამშრომლები სჭირდა და არა პოლიტიკოსები. და ერთადერთი საშუალება ამ საქმეში ქართული პოლიტიკური საქითხის ჩართვისა ის იქნებოდა, რომ გერმანული მხედრობა იძულებული ყოფილიყო ქართველთა თანამშრომლობის მოსაპოვებლად ქართულ პოლიტიკურ წრეებისათვის მიემართა. ახლა კი როდესაც ყოველივე რაც მათ სჭირდათ უკვე მიიღეს და—სრულიად უსასყიდლოდაც, ჩვენ რათადაგველაპარაკებინან, თავს რატომ აიტკინენო, ბატონო სპირიდონ ვკითხე მე, თორღანიაც მიატოვა მისმა ხალხმა მეტი. თორღანია იგავში ნახებოდა მთლან მდგომარეობაში აღმოჩნდა—ყველა რომ ფლავის დარიგებისაქენ მირბოდა, მანაც გამოუშვა თავისი ხალხიო.

ეს საუბარი საკმაოდ გრძელი იყო და მისი მთელი შინაარსის გადმოცემისცდა არც საქირია, რადგან ორთა შორის მე მეტი ვილაპარაკე—თუნდაც იმიტომ, რომ როგორც ჯარიდან მოსულს საამბოთ უფრო მე მიქონდა. ს. კედიას საუბარი იმდენი მოცემით დამითარკა. გულს ნუ გაიტებთ როგორც არ უნდა იყვეთ თქვენი როლი იგივე რჩება. იმოქმედეთ როგორც შეეძლებათ და როგორც თქვენი მოვალეობის შეგნება გიკარნახებთო. ეს საქმე ჩვენთვის იოვალურ პირობებში ვერ დაწყო მავრამ ჩვენ ამაში უმწონი ვართ, ამიტომ მდგომარეობას უნდა შევეგუოთ—რაც არის იმის გამოყენება უნდა ვცადოთო. და საერთოდ დაუმატა მან ბლიტკრივის შეფერხების შემდეგ საქმე კომპრომეტირებულია (ეს ორი სიტყვა ფრანგულად თქვა) ვინ იცის იმის მსგეველობა როგორ განვითარდება. საფრანგეთის ადვილად დამარცხებამ დაბადა ფიქრი, რომ რუსეთიც ასევე ადვილად დამარცხდებოდა მავრამ ამის გადაჭრით მტკიცება უკვე დარ შეიძლებადა სხვა პერსპექტივების არსებობაც მხედველობაში უნდა მივიღოთ. თუ გერმანელებმა რუსეთს ვერ დამარცხეს, იმედი უნდა გვქონდეს, რომ რუსთა გამარჯვებასაც არ დაუშვებენ ისინი ვისთვისაც რუსთა გამარჯვება სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენსო. სხვა პერსპექტივის ახლავ დაშვება ორ სკამზე ჯდომას ხომ არ ნიშნავს მეტი, არაო, როცა ერთ სკამს ფეხი მოტყდება, მეორეზე დაჯდომა უნდა გაითვალისწინო. ეს ორ სკამზე ჯდომა არ არისო

მაშინ ვინ წარმოადგენდა, რომ მეორე სკამიც ფეხმოტყებილი აღმოჩნდებოდა.

სპირიტუალური კედლის საარსებო ნივთიერი წყარო იყო, საპკურებელ სურნელებთანა პატარა ლაბორატორიის გაძღვლა. ამ ლაბორატორიაში ამზადებდა იგი სურნელოვან ენეციებს საპარფიუმერო ფირმისათვის, რომელიც მისმა ძველმა უახლოესმა მეგობარმა და თანამებრძოლმა გიორგი მაჩაბელმა ამერიკაში დააარსა. ამ ფირმის მონაწილე აქციონერი იყო თითქმის ა. ამ ფირმის კუთვნილ სახლში ცხოვრობდა იგი თავისი ცოლშვილით და ლაბორატორიაში იმავდროულად იყო მიშენებული, ეს სახლი მდებარეობდა პარიზის სამხრეთდასავლეთ უბანში, კლამარ-ად წოდებულ პატარა ქალაქში - მცირე ტყის ნაპირას. ამ სახლში გარდაიცვალა იგი 1948 წელს.

ს. კედია გარეგნობით საშუალოზე ცოტათი მაღალი, მაგრამ ბრავი და ჩახხმული კაცი იყო. შავგვრემანი სახე და ეციხიანი ცხვირი ჰქონდა. ურჩი შავი თმის კონა ხანდახან შუბლზე უვარდებოდა.

დიდი ორატორული ნიჭის პატრონი მას მრავალჯერ საქართველოს ოქროპირი უწოდეს. მისი ორატორობა სიტყვის მხოლოდ ლამაზით და ეფექტით წარმოთქმით არ განისაზღვრებოდა. აკუნებდას და პათოსთან ერთად მისი სიტყვა იყო უაღრესად მოაზრებელი, ლოგიკური და თანმიმდევნი. ივანე ჯავახიშვილს რომელიც მის გამოსვლებს დაძაბული ყურადღებით უსმენდა ხოლმე ერთჯერ თუკრემ უთქვამს: ასეთი სიტყვა ევროპულ დიდ პარლამენტში მოსმენის ღირსიაო.

საუბარში იგი კიდევ უფრო მომხიბლავი იყო. თავაზიანი ზრდილი და კეთილგანწყობილი იგი, პირველ დაახლოვებისთანვე კაცს აჯადოებდა. - ინტელექტუალობით, კეთილშობილებით და პატიოსნებით ეს მისი ძირითადი თვისებები იყო. დიდი კულტურის მქონე ადამიანი, მდიდარი და დაბნევილი ქართული მოუბარა შთაბეჭდილებას ახდენდა თითქოს მკვნი ლაპარაკობსო. მისი სიტყვისათუ საუბრის სტენოგრაფიას გასწორება არ დასპირდებოდა. მას უნარი ჰქონდა, ელექტრონული სიზუსტით გონებრივად ჩამოეყალიბებია ტვინის საღაროში წარმოქმნილი იდეა და დაუწყონებლივ უზადო სიტყვად ექცია. იგი ქართული მწერლობის მცოდნე მოყვარული და კრიტიკულად შემფასებელიც იყო, აქ შემოიძლია მავალითისათვის მოვტრანო მის მიერ გამოთქმული, ჩემს მეხსიერებაში დარჩენილი, შენიშვნები ბარათაშვილზე და ვაფაზე. ბარათაშვილის უბედურობა-პესიონისტობაზე მოლაპარაკეს, მან შენიშნა: ბარათაშვილი თუ ჩვენ უბედურად გვეჩვენება-იმიტომ რომ ჩვენი საზოგადოებრივი-გენიისათვის ბედ-უბედობის კრიტერიუმი სხვა არის- ბარათაშვილი არ ტირის და წუწუნობს. მას თავისი სიდიდე უთუოდ ესმოდა. ვინც საკუთარ დაკრძალვის ცერემონიაში სტეპიასა და ბუნებრივ მოუხმობს- შავ ყორანს, ქარიშხალს, ციურ ცვარსდა მყვიარ სვავებს, მას უზარმაზარი პრეტენზია აქვს - გენიის შესაფერი. ოდნავ კოკლბობა ვერ გააუბედურებდა თავისი დროის ბრწყინვალე პაპუტის ორბეულიანის ახლოხელს, ვისთვისაც ყოველ არისტოკრატიულ ოჯახის კარი ღია იყო და თუ იგი ნივთიერად ღარიბი იყო, იგი კარგად გრძნობდა როგორი სიმდიდრე ჰქონდა ღმრთისაგან მიწიერებულიო. სულ სხვა არისო ვაფა. მასაც თავისი ფასი უსათუოდ ესმოდა, მაგრამ შეუძლებელია ეთიქანა, რომ მისი დიდიდა შთასასა გაუტოლდებოდა. ასეთი პრეტენზია რომ ჰქონოდა თვისი საფლავის შესამკობად დიკა და ღვიანით არ დაქმნაყოფილდებოდაო.

ეს წერილი მხოლოდ ცდა არი დიდი ქართველის დახანდახანის აროგორც მე შემიძლია. დემრთი რომ ოდნავ შეგვეყენოდა და რამდენიმე წელი დაგვცლოდა, მრუდად ნაქედის გამართვას ქართველი ერი შესძლებდა-მას დიდი გამოცდილება აქვს წამხდარისადა დანგრეულიისაც აღდგენა-ახლადშენებისა. ამის მოწმეა ქართლის ცხოვრება. მაგრამ ისტორიას ის უღმობელი წესიცა აქვს, რომ განმეორებით ჩადენილ შეცდომას არვის აპატიებს. გარნა ჩვენ სად იყო რომ შეცდომა არ ჩავდიდნეთ. ჩვენ წესად დავიდეთ და ვერ მივატოვეთ ის საქციელი, რომლის ჩამდენ საქართველოზე მიხიელ წერეთელმა თქვა: ყოვლად უგვანონი, უმსავსონი და სულენი დაიტოვა თავისი ცხოვრების წინამძღოლებადო.

მიუხედავად ამისა დამოუკიდებლობის მოკლე ხანაშიც აშკარად ჩნდა ეროვნულ შეგნების სწრაფი ზრდადა გამოფხიზლება. დაავადებულ შეგნების მთლიანი გამოჯანსაღებაც შორს რომი იყო. და ეს რომ დავცვლოდა, თვალახელით საქართველო თვის ბედს იმას ჩააბარებდა, ვინც ღირსი იყო. მაშინ ილიას სახესაც კმუნდა განეყრებოდა-საქართველოს მომხრედა რომ თავის სულიერ შვილს იგულებდა. მაშინ გამოადგებოდა ნატანჯ კვეყანას მისი ნიქერი და ერთგული შვილის მეთაურობა. მაგრამ ეს ბედი ჩვენ არ გვეღირსა და სპირიტუალური კედლის სიცოცხლის წლები, რომელნიც მისი სამშობლოს ამაღლების საქმეს უნდა მოხმარებოდა, ღტოლვილობაში თავის მამულზე ნადვლიან და მტკიცეულ ფიქრებში დაილია.

მოსკოვის ნაციონალური პოლიტიკა ად. ევროპის ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირში ძალით შეყვანილ ერებისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა-  
ას შორის გარდაუვალი უფსკრული დღითი-დღე იზრდება. ნაციონალური წინააღმდეგობის ზრ-  
დის კომუნისტური ზღუდეები უკვე მოშლილია და ყველა კარგად ხედავს, რომ რუსიფიკაცია და  
ასიმილაცია საპირობა არა კომუნისმისათვის, არამედ ახალი იმპერიის სიღაღესათვის. წყაღ-  
ამყოფი შექმნილია- ნაციონალური მდინარეები მიედინებიან არა მოსკოვისაკენ, არამედ მოსკო-  
ვიდან და ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ამ ბუნებრივ პროცესს. და ეს მამინაც კი- რომ  
საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა რუსულ ენაზე ალაპარაკდეს. სიპართი- ენაზე უფრო  
ძლიერია. ამას ადასტურებს ირლანდიელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. დამომნებელის ენ-  
აზე მათ შესძლეს თავიანთი დამოუკიდებლობის მოპოვება. ან ხორვატები. მათ სერბებთან საერ-  
თო ენა აქვთ, მაგრამ სერბების ბატონობის დროს მიყენებულმა ნაციონალურმა დამცირებამ ამ  
ერთი მოღვმის ხალხები შორის მძაფრი მტრობა დაეთსა. სწორედ თვისტომთა შორის ბრძოლა ნა-  
ციონალური თანასწორობისათვის განსაკუთრებით ძლიერია.

ამჟამად დღისწესრიგშია ვარშავის პაქტის ქვეყნების უნიფიკაცია. ეკონომიური ურთიერთ-  
დახმარებ საბჭოს მეშვეობით ისინი მოსკოვზე არიან დამოკიდებული, მაგრამ აღმოსავლეთ ევრ-  
ოპის კომუნისტური ქვეყნების ასიმილაცია გაცილებით უფრო რთული საქმეა, ვიდრე საბჭოთა  
რუსეთში შემავალ ხალხების. ეს სახელმწიფოთა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არ შედი-  
ოდნენ-გარდა პოლონეთის ნაწილისა. მათთვის რუსული ბატონობა უჩვეულოა. ამიტომ აქ ტრად-  
იციულ რუსულ ნაციონალიზმს შეუძლია ბატონობა მხოლოდ შიშველი ძალით ენაზე წასვლა-სა-  
კუთარ იმპერიის შიგნით მეტად მისუსტებულ მოსკოვს-უბრატლად არ შეუძლია.

მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური სახელმწიფოების ჩასაყლაპავად მოსკოვულ  
თვითმპყრობელთათვის უფრო მისაღები აღმოჩნდა არა ტრადიციული რუსული ნაციონალიზმი,  
არამედ „მარქსიზმი-ლენინიზმი“. საბჭოთა კავშირის კომუნისტური ხელმძღვანელობა ცდილობს  
დაარწმუნოს თავისი აღმოსავლეთ ევროპული „ძმები“ არა ძველი მუფის თვითმპყრობელური, არ-  
ამედ ლენინიზმის არსენალად ამოღებულ არგუმენტებით. ხოლო ეს არგუმენტები ასეთია:  
ლენინი გვასწავლის, რომ მსოფლიო სოციალიზმს მიაღწევს მხოლოდ დიდი მრავალეროვან სახე-  
ლმწიფოებრივი გაერთიანებებით. ლენინი გვასწავლიდა ნაციონალიზმი-დაახლოებაზე, მათი  
ენათა ერთ მსოფლიო ენაში შერწყმაზე. თ

ნაციონა „შერწყმის“ იდეა, „უფროსი ძმის“ იდეა მხოლოდ რუსი კომუნისტების დამახასი-  
ათებელია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ის უცხოა, თუმცა, რასაკვირველია, ისინი  
აშკარად ვერ ბედავენ მის წინააღმდეგ რაიმეს თქმას. გაბეღულად და აშკარად გამოდიან ნაცი-  
ონათა „შერწყმის“ იდეის წინააღმდეგ იუგოსლაველი კომუნისტები, რომელთაც არაფერი არ აკავ-  
შირებთ ვარშავის ბლოკთან.

ხორვატიის კომპარტიის ორგანოში „ვესტნიკი“ ის საშოცააჩვიდმეტ წლის თებერვლის  
ნომერში მოთავსებული იყო სტატია-„კეთილშობილი ხალხი“, რომელშიც გაკრიტიკებულია, რო-  
გორც ვაჭოთი აღნიშნული, მოსკოვის მიერ საქართველოში დაყენებული ედუარდ შევარდნაძე.  
უკანასკნელმა თავის მოხსენებაში ეპიტრობით დააჯილდოვა „უფროსი ძმა“-რუსი ხალხი, ვაკ-  
რიოც არ მოიხსენია რა სხვა ხალხები. „ვესტნიკი“ სწერდა: ჩვენს ვაკეოცა მხოლოდ ერთი ხა-  
ლხის უპრეციდენტო ქება-დიდება, ხალხი, რომელიც სხვათაგან განირჩევა თავისი კეთ-  
ილშობილებით და თავდადებით. ჩვენ იუგოსლაველები ვამაყობთ მით, რომ ჩვენს მრავალეროვან  
სახელმწიფოში არ არის ისეთი ხალხი, რომელიც სხვა ხალხთა კეთილდღეობა-ბედნიერებისათ-  
თვის ასე გულწრფელად და უანგაროდ თავს დადებდა. ჩვენს რიგებში ასეთი განსაკუთრებული  
კეთილშობილი ხალხი არ გვევლება... არ გვევლება არც ნაკლებად კეთილშობილი ხალხები.

ცნობილია, რომ იუგოსლავიაში არსებობს სერბების ნაციონალიზმი, რომელსაც აქვს  
პრეტენზია სხვა ხალხებზე ბატონობისა. მაგრამ სერბების ნაციონალიზმის პრეტენზია -  
მხოლოდ პრეტენზიაა და მას მისი მიზნების განაარსება არ უწყერია. იუგოსლავიაში ნაცი-  
ონალური მდინარეები არაბელგრადისაკენ მიედინებიან, არამედ, პირიქით, ისინი მისწრაფიან  
სრულ დამოუკიდებლობისაკენ. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ამ პროცესს თანაგრძნობას  
უცხადებს. „დაახლოება“ და „შერწყმა“ იუგოსლავიაში მოსკოვისათვის არასასურველია,  
რადგანაც პერსპექტივაში იუგოსლავიის მცირე ერების „საბჭოთა ხალხთან“ შერწყმა ცალ-ცალ-  
კე გაცილებით ადვილია, ვიდრე მთელი იუგოსლავიის შედერაქციის გადაყლაპვა.



საერთოდ იუგოსლავიის კონცეპტია ერთა თანაბარუფლებიანობაზე ვარშავის ბლოკის ქვეყნებისათვის უფრო მისაღებია, ვიდრე მოსკოვის „უფროსი ქმის“ კონცეპტია მისი „დაახლოება – შერწყმის“ გეგმებით „აღამიანთ ახალ ისტორიულ ერთობაში – საბჭოთა ხალხში“. მაგრამ ვარშავის ბლოკის ქვეყნების მოსკოვის ერთგული კომუნისტური რეჟიმები ნებისთ თუ უნებლიედ იძულებული არიან მიიღონ მოსკოვის კონცეპტია თავისი ხალხების ინტეგრაციაზე ხსენებულ „აღამიანთა ახალ ისტორიულ ერთობაში“. ამით აიხსნება რუსული ენის სავალდებულო სწავლება ვარშავის ბლოკის ქვეყნების სახალხო სკოლებში პირველი კლასიდან. ამას ემატება სხვა ღონისძიებები საბჭოთა კავშირთან უნიფიკაციისათვის. რასაკვირველია, ვარშავის ბლოკში ვერაგინ ბედავს კრინტის დაძვრას. ამ ბლოკის სახელმწიფოთა მეთაურები იღებურად მოსკოვის არგუმენტებით განიარაღებული არიან. მაგრამ არ არიან განიარაღებული ერები.

როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ვარშავის პაქტის ქვეყნებში მოსკოვის მიერ ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტების აბოზოქრებული სტიქიონია აგორებული. ეს სტიქიონი გაცილებით უფრო მრისხანეა და შეუპოვებელი, ვიდრე ხალხთა ცხოვრების პოლიტიკური და ეკონომიური მხარე. ამაზე ცხადად მტკიცებებს პოლონეთში უკანასკნელ წლებში მომხდარი ამბები.

ამიტომ მოსკოვის იდეოლოგიური ბაზა ევროპის დაპყრობის მომზადებისათვის მეტად უიმედოა. ძნელად წარმოსადგენია, რომ საბჭოთა იმპერიაში ძალით შეყვანილმა ერებმა დაუშვან ამ სისხლიან ავანტიურაში მოწინააღმდეგეობის მიღება.

შ ა ლ ვ ა   კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე



ს ა ზ ი ა რ ო პ ო ე ზ ი ა

„თქვენ რომ გგონიათ ის არ ვარ სხვებს რომ ჰგონია არც ისა“. ეს სიტყვები შემძლე მეთქვა ყოფიანს მაგორად, ეს აკაცის ნათქვამი იმითმ მომავლენდა, რომ—უნდა გამოვტყუე—ყოფიანი აქამდე მეც სხვა მეგონა. როცა მისი პოეზიის შესახებ რეცენზიებს ვაკვეყნებდი—მესამე, მეოთხე, და მეხუთე წიგნის გამო, მეგონა რომ ყოფიანის პოეზიის დაფასებაში უხვობას ვიჩინე და და მის ნაკლთა აღნიშვნისას კი ძუნწი ვიყავ. ახლა მგონია რომ ვცდებოდი. მკითხველმა იქნებ მითხრას კიდევ ცდებიო—როცა წაიკითხავს—რაც უნდა ვთქვა. ვცდები თუ არ ვცდები, ამჯერად იმას ვამბობ რასაც ვფიქრობ.

პოეტი ყოფიანი უეცარი აფეთქება არ ყოფილა. ობლის კვერი გვიან გამოცხვია, მაგრამ კარგად გამოცხვიაო. პირველი ნაბიჯი „ქუთაისელმა ბიქმა“ გადადგა და ამ ბიქის ნამდვილ ხელოვნად ქცევა მკითხველმა ძნელად შეატყუა—არცა სჯეროდათ. ახლა კი დროა... კაცმა ცხადი უნდა დაიჯეროს. ჩვენს წინაშე ძლიერი და ორიგინალური ხელოვანია, ვიორგი ყოფიანი მარტო ემიგრაციის პოეტი აღარ არის. მის ქართულ პოეზიაში თავისი ადგილი აქვს და არა — როგორც რიგით საშუალო პოეტს, არამედ როგორც განსაკუთრებულ „მოვლენას“. იგი ისევე ორიგინალური და კენტია, როგორც (მკრეხელობას ნუ მიკითვინებთ მხოლოდ განცალკევება და კენტობა არის შედარებული) ვაჟა ან ვარიშაშვილი. ყოფიანის „ვერგაგება“ ცხადია იმის ბრალია, რომ მას აკლდა და ახლაც აკლდა „ხელ-იყუ და არვის შექმლა გამოცენო—როგორი ყანა დამწიფდებოდა. ახლა კი როდესაც მის შემოქმედებას საკმაო მანძილი აქვს გავლილი და მის ყანაში მომყული მეექვსე წიგნი გამოიცა, გაკვირვებით უნდა დავინახოთ, რომ სწორედ ეს „ხელოსნის წვართის“ უქონლობა წარმოადგენს მისი პოეზიის თავისებურებას და ძალსაც, ამიტომ არის იგი განცალკევებული მოვლენა.

მაგრამ მხოლოდ ამ თვისებით შორს ვერ წავიდოდა. ყოფიანი ძლიერი ნიჭის პატრონი შემოქმედიც არის, რთულ ღრმა ვანცდამა კაცია და იშვიათი თვალ აქვს მხატვრისა. რაც შეეხება ქართულ სიტყვის „ნამდვილ გამართვას“ (რობაქიძე), სწორედ არანამდვილად გამართულ სიტყვათა მეშვეობით ახერხებს იგი უღამაზეს მეთაფორების და სურათების მოცემას. ეს მხოლოდ მაღალ ხელოვანს ძალუძს. იბადება შედარება კომპოზიტორთან რომელი მელოდიაში მოულოდნელ დისონანსს რთავს, ან—მხატვართან შეგნებულად რომ არღვევს პერსპექტივას, მაგრამ ეს ნებისმიერი მოქმედებებია. უფრო სწორია მისი ნაწერი მოზაიკას შევადაროთ— ტეხილ ხაზებიან მოფარველას ფიგურებისა. მოზაიკის კენტებია „სწორად ხატვა“ ხომ არ შეიძლება.

არის საერთო ყოფიანსა და ფიროსმანს შორისაც. არც ფიროსმანს ჰქონია ხელოსნობა და „ნამდვილი გამართვაც“ არ იცოდა მან, მაგრამ მით რაც ებადა შექმნა შედეგები და უბრალოებით გვხვბლავს იგი ჩვენ. მაგრამ ორთა შორის სხვაობაც დიდია. ფიროსმანი რაც არ უნდა ვთქვათ, პრიმიტივია. ამას ვერ ვიტყვიყო ყოფიანზე— გაუმართავი სიტყვა და წვართის სიმცირე პრიმიტივობა არ არის, მარტო მისი შიარების თემათა სირთულე და იდეათა სიმწიფეც გამოირტყავს ამგვარ დახასიათებას. კიდევ მეტი. ფილოსოფიურ ხასიათის მისი შიარებები როგორც: პრესისტორია, ისრორია, კაცი და გონება, მიწის გული, დრო, ორი ზვეული, ხის ჩივილი, და ყვევლების ბორბლები, რომლებშიც თემი სრულად დაძლეულია, პოეტის ახალ შესაძლებლობათა მაუწყებელია.

ყოფიანის მიერ ნაპოვნი „თქმანი“ ამოუწურავი საწყაია. თითქმის ყოველი შიარი შეიცავს „ახალს“ და „მოულოდნელს“. მხოლოდ ორიოდ ნიმუშად: სიტყვა სულის კალამი; იქვებს დადაჩხვავს სიტყვა ოქროს წალდი; რამდენი წელი წაიკიცევა დროთი ნაცემი; მცირედი მტვერი სულის წვაში გადარჩენილი; ნანეტყვარი სიტყვა მზეს უბრუნდებდა. ასეთი „თქმებით“ საცხეა წიგნი. თუ ვ. ნოზაძის ღვაწლი ემიგრაციის წვლილია ქართულ მეცნიერებაში, ყოფიანი ჩვენს წვლილია ქართულ პოეზიაში.

ამავე წიგნში შეტანილია ირინე ყოფიანის რამდენიმე სიმპატიური და ლამაზი ფრანგული „პოემა“. აღბათ ამიტომ აქვს წიგნს სათაური „საზიარო პოეზია“—თუმცა სხვა მნიშვნელობაც სავარაუდოა.



ოქტომბრის შუარიცხვებში ილია თაყაიშვილის ოჯახმა—ფილმებითურთ, იენას დარბაზში ქართულეთაგვის გამართა, მასთან სტუმრად ჩამოსულ რეზო თაბუკაშვილის კინოფილმის ჩვენება. ფილმი შეეხება მიხეილ თამარაშვილის ცხედრის გადასვენებას —ტალიიდან საქართველოში. ამასთანავე მავუტრებლებმა ნახეს ფილმი მუსიკალური კომედია ქეთო და კოტი, რომელშიც ქეთოს როლს ასრულებდა თაბუკაშვილის მეუღლე მედეა ჯაფარიძე. ცოლ-ქმარმა ძლიერ თბილ მეგობრულ კოლოთი მიმართა მავუტრებელთ ფილმების განმარტებისათვის წარმოთქმულ სიტყვებში. თაბუკაშვილის ფილმმა ძლიერ დადებით შთაბეჭდილება მოახდინა—ხარისხით, შინაარსით და მიუდგომლობითაც, ასევე ყველა კმაყოფილი დარჩა უკვე ძველი, მაგრამ კიდევ ლამაზი უპრეტენზიო კინოკომედით, სენასის დასასრულს დარბაზმა მხურვალე ტაშით უთხრა სტუმრებს მაღლობა.

ზემოაღწერილი, ბედნიერად დაბოლოება იყო იმ არასასიამოვნო ამბისა, რაც ამას უსწრებდა. რამდენიმე დღით ადრე იმავე პროგრამის ჩვენება თავსიღვა ჩვენმა მწერალთა კავშირმა და საამისო ოფიციალური ბარათებიც დაგზავნა. ამან სრულიად ბუნებრივი პროტესტი გამოიწვია პარიზულ ქართველებისა. ეს ხმა ფილმის ჩამომტანთა ყურამდე მისულა და მთ ფილმის „თხევებაზე“ უარი უთქვამთ. რასაც ის მოჰყვა, რომ ახალი ბარათები დაიგზავნა— ტექნიკურ მიზეზთა გამო ფილმის ჩვენების შეუძლებლობის მავუტრებელი. გრძელი განმარტება ზედმეტია— თურათომ იყო საპროტესტო ჩვენი მწერალთა კავშირის სახელით ჩვენება ფილმისა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფო საკუთრებაა. ეს ხომ იქნებოდა ისეთი თანამშრომლობის დამყარება, რომელიც ყოველ შინაარსს გამოაცლის ჩვენს პოლიტიკურს ემიგრანტობას. ეს იქნებოდა ჩვენი განიარაღება—ნეტარლოზაცია რომლისკენ ისწრაფის წითელი პოლიცია—„კულტურულ“ მოტივის გამოყენებით. ეს შემთხვევა ტროას ცხენს გვავიწყებს. მხოლოდ ის ხისა იყო და თავისი არც გონება ჰქონდა— არც ნებისყოფა. რაც ამგვარ როლში ადამიანები გამოდიან, ძნელია ისინი ამ კეთილშობილ ცხოველს შევადაროთ. აქ უფრო სხვა ანალოგია იქნის თავს.

ის ამბავი, რომ პოეზიის ტალღებში მცურავმა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პოეტმა მის წინ ოსტატურად დაგებული ფაცერი ვერ დაინახა და შიგ თავი შეჰკუო—საიდანაც მან ეს თავი სასწრაფით უკან გამოიღო— ვასაგებია და შესაწყნარებელიც. მაგრამ— რომ ჩვენს პოეტს ამ მარცხისაკენ ჩვენმა— სრულიად არა პოეტმა— სათვისტომოს თავმჯდომარემ უბიძგა, ძალიან ძალიან დამოუტიკრებელია. *AFFAIRE A SUIVRE* ამბობენ ფრანგები.

მითხველებს მოვავიწყებთ, რომ გრძელდება შემოწირულების მიღება ომში დაღუპულ ქართველ მეთომართა მოსავონარ ძეგლის ასაგებად — ლევილის სასულაოზე. საინიციატივო ჯგუფის დირი თხოვნაა, მონაწილეობა მიიღოთ ამ კეთილშობილურ საქმეში.  
მისამართი: *G. VATCHNADZE 6 SQUARE DE ALBONI PARIS 16 TEL. 870 80 44*

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო

ნათესავთა და მეგობართა მიმართ სამძიმრის გამოცხადებით ვაქვეყნებთ გასულ მაისიდან დღემდე გარდაცვლილ ქართველთა სიას. გერმანიაში—ესენში გარდაიცვალა კლარა ჯაში ბრაიერი ასული; ლევილში დაიკრ ძალენენ; ლილია დონდუა; ვალიკო ჰელიძე; კლერ გიორგაძისა. პარიზში გარდაიცვალა ნატალია ტურანენენ ბაგრატიონის ასული.

ფურნალის ფონდი. შემომწირველთა სია მადანგული ფრანკები.  
გ. ა. ხუთასი; გივი ზალდასტანიშვილი ოთხასათი; რაფიელ ჯაში ხუთასი; ბაგრატ და ტატიანა ქაქიაშვილები ორასი; აკაკი შავგულიძე ასი; ილია ემუხგარი ასი; საშა პეიშვილი ასი; დავით ვაშაძე ასი; შოთა ბერეუიანი ორმოცდაათი.  
უღრმესი მაღლობა რედაქციისაგან.

რედაქციის მისამართი: *M. KAVTARADZE 61 CHEM. DE TABOR 91 310 LINAS TEL. 901 47 81*  
სარ. კოლეგია: გივი გაბლიანი. გივი ზალდასტანიშვილი. შალვა კალანდაძე. გულნარა პატარიძე ურტაძისა. მიხეილ ქავთარაძე (ტექსტის და გამოცემის ტედაქტორი).

DIRECTEUR O. PATARIDZE

ADRESSE D EDITEUR

MICHEL KAVTARADZE 61 CHEM. DE TABOR 91310 LINAS  
TEL. 9014781

HORS COMMERSE

IMPRIME PAR NOS PROPRES MOYENS